# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 28 თებერვალი 2007 №44 (2967) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა




# 24 23 22

# ზაზა ზე, ზე!



ადრიანო გალიანი, კახა კალაძე, კარლო ანჩელოტი და პაოლო მალდინი

# კალაძეს გლაზგოში არ ჩაესვლება

## ნაკრების და მილანის მცველს გრიპი და მყესები უტევენ

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ გლაზგო ცუდად დაცადა. „სელტიკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩისას „მილანის" ქართველ მცველს ტრავმა გაუმიზეზდა, მატჩის შემდეგ კი გრიპის ვირუსი შეეყარა, ტემპერატურამ აუწია და თითქმის ერთი კვირა ლოგინში გაატარა.

კალაძის ტრავმზე ადრეც გამცნეთ, აქილევსის მყესები აწუხებდა, მკურნალობას თვენახევარი მოანდომა, „სელტიკთან" კი მეტოქის ფეხი ისევ იმ ადგილას მოხვდა და შესაცვლელი გახდა. ნამატჩევს კახამ გვითხრა, მყესების ხელახალ მკურნალობას კიდევ ათი დღე დასჭირდებაო. მერე კი ძველ ტრავმას ვირუსი დაემატა და...

— ახლა უკვე კარგად ვარ, სიცხემ დამიწია და, ასე ვთქვათ, ფეხზე ვმკურნალობ. ოთხშაბათს „პალერმოსთან" ნაღდად არ ვიქნები, აი, უქმეებისთვის და „სელტიკთან" საპასუხო შეხვედრისთვის კი, ვფიქრობ, მზად უნდა ვიყო — გვითხრა კახა კალაძემ — რაღაც ნავსიანი პერიოდი მაქვს, ჯერ ერთი ტრავმის გამო გამიცდა ათამდე მატჩი, შემდეგ იგივე ტრავმა გამიმიზეზდა და ზედ ბრონქიტიც დაერთო...

— ექიმები რას ამბობენ?

— ჯერჯერობით მაიმედებენ, ორსამ დღეში მთელი დატვირთვით შეგეძლება ვარჯიშის განახლებაო და ვნახოთ, რა იქნება და როგორ. დღეს კომპლექსური სამედიცინო შემოწმება გავიარე, ექიმებს სანერვიულო არაფერი უთქვამთ, მხოლოდ მყესებია დაზიანებულიო.

— ანუ შოტლანდიასთან სანაკრებო მატჩისთვის ფორმაში იქნები...

— იქამდე თუ კიდევ რამემ არ შემაწუხა, ცხადია, ნაკრებთან ვიქნები. ამ ტრავმას ერთ-ორ დღეში მოვიშუშებ და თამაშიც შემეძლება. 24 მარტამდე სამ კვირაზე მეტი დროა, იქამდე კი ფორმასაც აღვიდგენ.

— მოკლედ, იტალიის ჩემპიონატის მომავალ ტურში თუ არა, „სელტიკთან" ითამაშებ?

— დიახ. ყოველ შემთხვევაში, ექიმების თქმით, შაბათ-კვირამდე ვარჯიშის დაწყება შემეძლება და მერე მწვრთნელი გადაწყვეტს, როდის ვითამაშებ.

**კობა ინასარიძე**

გუშინ კახა კალაძეს 29 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ!

# გავახაროთ, ვინც ჩვენს გულებს ახარებდა



ილია დათუნაშვილი და ვაჟა ქვანია გუშინდელ საღამოზე

**გუშინ** კლუბ „ქალაქურში" საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თაოსნობით ვეტერან ფეხბურთელებთან შეხვედრა მოეწყო. კლუბში მივიდნენ ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი, ფედერაციის გენერალური მდივანი უჩა უგულავა, ვიცე-პრეზიდენტები გოგი ქავთარაძე და გრიგოლ ცაავა.

ეკრანზე თბილისის „დინამოს" ძველი თამაშების კადრებს აჩვენებდნენ, საღამოს ევროპული ცეკვები და ქართული სიმღერებიც ალამაზებდნენ.

*ნოდარ ახალკაცი:* ფედერაცია ყველანაირად ცდილობს, ვეტერანებს გვერდში დაუდგეს. ექვსი თვის წინ მათი ფონდი შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვაჟა ქვანიაა. ოცდახუთ ფეხბურთელს ან მათ ოჯახებს გადაეცემათ ფულადი დახმარება. მე ფულზე იმდენად არ ვამახვილებ ყურადღებას, რამდენადაც მორალურ მხარდაჭერაზე.

ყოფილმა დინამოელმა *ილია დათუნაშვილმა* აღნიშნა, არც ერთ წინამორბედ ფედერაციას ასეთი თანადგომა არ გამოუჩენია ჩვენს მიმართ, როგორც დღევანდელსო.

საღამოს ესწრებოდა გარდაცვლილი გივი ჩოხელის მეუღლე, რომელმაც უდიდესი მადლობა გადაუხადა ფედერაციის ხელმძღვანელობას. 60-იანი წლების „დინამოს" მეკარე სერგო კოტრიკაძემ კი თქვა, სფფ-ის მეშვეობით „დინამოს" პირველი თაობის ფეხბურთელის, ვიქტორ პანიუკოვის უცნობი საფლავი მოინახაო. ამასთან, გაკეთდა გივი ნოდიას სასაფლაოც.

ისიც ითქვა, რომ ფედერაცია ვეტერან ფეხბურთელ გურამ ცხოვრებოვის ოჯახს ცხინვალში უგზავნის ფულად დახმარებას.

*ვაჟა ქვანია:* ვეტერანთა დახმარება მომავალშიც გაგრძელდება. მითუმეტეს, წლეულს ხუთ მათგანს მრგვალი თარიღი აქვს. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ის ადამიანები, ვინც გულშემატკივრებს სიამოვნებას ანიჭებდა.

**ილია ნანობაშვილი**

# გოგუა სატურნზე დაეშვა

## დღეს კონტრაქტი იქნება

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების 23 წლის შუახაზელი გოგიტა გოგუა, ვისაც ახალი და შესაფერი კლუბის ძიებაში მოსამზადებელი პერიოდი ფაქტობრივად გაუცდა, ახლა რუსეთის პრემიერლიგის რამენსკოეს „სატურნში" ვარჯიშობს და დღეს ალბათ კონტრაქტსაც გააფორმებს, ყოველ შემთხვევაში გოგუამ, რომელსაც გუშინ რამენსკოეში დავუკავშირდით, ასე გვითხრა. „სატურნის" ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობითაც, კლუბის ახალწვეულების პრეზენტაცია სწორედ სადღეისოდაა დაგეგმილი.

— ორი დღეა, „სატურნში" ვვარჯიშობ და ვფიქრობ, კონტრაქტსაც გავაფორმებ. კლუბის ხელმძღვანელობასთან თითქმის ყველა საკითხზე მორიგებული ვარ. კონტრაქტი ალბათ სამწლიანი იქნება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ზაფხულში „ჰართსში" გადასვლის ვარიანტი ჩაიქროლა [illegible] ჩემი გამოსვლა [illegible] „სატურნი" [illegible] ლო დონის გუნდად ითვლებოდა, მაგრამ მოახლოებული ჩემპიონატისთვის საფუძვლიანად ძლიერდება, როგორც თქვეს, ევროსაგზურისთვის უნდა ვიბრძოლოთ. დანარჩენს კი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ გეტყვით — გვითხრა გოგიტამ.

ნალჩიკის „სპარტაკიდან" წასვლის მერე გოგუა ჯერ შოტლანდიურ „ჰართსში" გადასვლას ეშურებოდა, მაგრამ სავიზო პრობლემების გამო ეს საქმე ჩაიშალა. შემდეგ ტომსკის „ტომი" იყო, ჩვენიანი ამ გუნდს ესპანურ შეკრებაზეც გაჰყვა და მალევე დაშორდა. რამდენიმე დღიანი უქმობა კი აგერ რამენსკოეს „სატურნში" მისვლით დამთავრდა. ვნახოთ, დღეს გოგუამ ახალი კლუბის მაისურა უნდა მოირგოს.

**კობა ინასარიძე**



### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები
ბირმინგემი 1:0 ლიდსი
ლუთონი 2:3 ნორვიჩი

პირველი ლიგა
გადადებული მატჩები
ძრიუ 1:3 სკანთორპი
დონკასტერი 0:0 იოვილი
ოლდემი 0:1 ბლეკპული
როტერჰემი 1:2 სუონსი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი
ჩესტერი 1:1 ჰერეფორდი

კონფერენსლიგა
გადადებული მატჩები
კემბრიჯი 1:1 ფორესტ გრინი
გრეისი 2:1 სენტ ალბანსი
ჰალიფაქსი 0:2 ნორსვიჩი

ასოციაციის თასი
1/8 ფინალი. გადათამაშება
ვესტ ბრომვიჩი 4:5პენ. (1:1, 1:1 დ.დ.) *მიდლსბრო*
რედინგი 2:3 *მანჩესტერი*

LDV VANS TROPHY
ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი
*როვერსი* 1:0 ბრისტოლი (0:0)

### თურქეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
გალათასარაი 1:1დ.დ. (0:0) *ერზინსი* (0:0)

### გერმანია

თასის მეოთხედფინალი
*ნიურნბერგი* 4:2პენ. (0:0, 0:0დ.დ.) ჰანოვერი
*ვოლფსბურგი* 2:0 ალემანია
ოფენბახი 0:3 *აინტრახტი*

### საფრანგეთი

თასის მეოთხედფინალი
სედანი 5:6პენ. (1:1, 1:1დ.დ.) *ნანტი*
მარსელი 5:0 ვანი

### პოლონეთი

ლიგის თასი. IV ტური
პოზნანი 0:2 გროცლინი
პლოცკი 0:1 ლეგია
ბელხატოვი 5:0 ლკს
ლეჩნა 3:0 ვიძევი
კორონა 2:1 კრაკოვია

### შოტლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები
პარტიკი — სენტ ჯონსტონი გადაიდო
ქუინი — კლაიდი გადაიდო

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი
კოუდენბითი — სტირლინგი გადაიდო

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები
ისტ სტირლინგი — ბერვიკი გადაიდო
ალბიონი — სტენჰაუზმური გადაიდო
დამბარტონი — არბროთი გადაიდო

### ფინეთი

ლიგის თასი. V ტური
მარიეჰამნი 2:1 კტპ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფესიული ფეხბურთის ლიგა დაბადების დღეს ულოცავენ
ეროვნული ნაკრების კაპიტან
კახა კალაძეს

# ნუ გადააგდებთ ლატარიის ბილეთს — ჩვენი მიზანი თქვენი მოგებაა!



ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრემ სიახლეც მოიტანა — უმაღლეს ლიგის თამაშებზე დაიწყო წამახალისებელი ლატარიის გათამაშება და მეორე წრის პირველ ტურზე ორასამდე ლატარიის ბილეთი გაიყიდა. გულშემატკივარი ჯერ კარგად ვერ გაერკვა ამ ლატარიის არსსა და წესებში, მაგრამ ლატარია მალე ალბათ უფრო პოპულარული გახდება. ეროვნული ჩემპიონატის მომდევნო ტურისთვის ლატარიის ჯეკპოტი უკვე ორი ათასი ლარია, რამეთუ წინა ტურში ვერავინ მოიგო და ათასი ლარი მორიგი ტურის საპრიზო ფონდს დაემატა.

ლატარიის ბილეთები მხოლოდ თამაშის წინ იყიდება სტადიონებზე და ლატარიის მოთამაშემ ბილეთი იქვე უნდა შეავსოს. ლატარიის თამაშის წესები ბილეთებზევეა მოცემული. ეს სიახლე რამდენიმე რამეს ემსახურება, მთავარი კი ის არის, რომ ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს მაყურებელი მოუმრავლოს და გულშემატკივარს სოლიდური თანხის მოგების შანსი ჰქონდეს.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ **დიმიტრი რამიშვილს** ამ პროექტის გარდა სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ






— როცა მეორე წრე კარგად გახურდება, როგორ ფიქრობთ, ტურზე დაახლოებით რამდენი ლატარიის ბილეთი გაიყიდება?

— ვფიქრობ, ხუთი ათასამდე. გულშემატკივრებს იმასაც შევახსენებთ, რომ ყველა ტურში გაყიდული აბსოლუტურად ყველა ბილეთი, მომგებიანი თუ წაგებული, 26 მაისს საქართველოს თასის ფინალზე გათამაშდება ლოტოტრონის პრინციპით. მოკლედ, ბილეთები გულშემატკივრებმა უნდა შეინახონ 26 მაისამდე. თასის ფინალზე ამ ბილეთებით სოლიდური პრიზები გათამაშდება, მათ შორის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი გასვლითი მატჩის საგზური. თასის ფინალზე გათამაშდება ლატარიის მორიგი ტირაჟიც და თუ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურებში თანხა ვერავინ მოიგო, ჯეკპოტი 26 მაისს გათამაშდება. თუ ეს პროექტი გაამართლებს, ლატარიაში უფრო ძვირიან პრიზებსაც გავათამაშებთ.

— ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან შემოსული თანხა როგორ განაწილდება?

— ლატარიიდან შემოსული თანხის 70 პროცენტი უმაღლესი ლიგის გუნდებზე განაწილდება, 30 პროცენტი კი — ამ პროექტის ხარჯებზე. რაც შეეხება საპრიზო ფონდს, თანხები პროფლიგის სპონსორული შემოსავლებიდან დაიფარება.

— სეზონის ბოლოს რა პრინციპით აპირებთ სპონსორული შემოსავლებიდან თანხის გადანაწილებას კლუბებზე? ეს გუნდების შედეგების მიხედვით მოხდება?

— ბოლო წლებში თანხა თანაბრად ნაწილდებოდა უმაღლესი ლიგის კლუბებზე, ხოლო წლეულს როგორ იქნება, ამას პროფლიგის კონფერენცია გადაწყვეტს. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ პროფლიგა ამა თუ იმ კლუბის კონკრეტული პროექტისთვის გაიღებს თანხას.

— ერთ-ერთი ასეთი პროექტი რამდენიმე კლუბისთვის ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგება ხომ არ იქნება?

— ხელოვნურსაფარიანი მოედნის შენახვა უფრო იაფია, ვიდრე მინდვრის, მაგრამ უმაღლესი ხარისხის ხელოვნურსაფარიანი მოედნის დაგება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მინდვრის. მოკლედ, ასეთი პროექტის განხორციელებისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ. მოედნების საფარი კი, შეიძლება ითქვას, უმთავრესია — ვისაც მომდევნო სეზონისთვის კარგი მოედანი არ ექნება, ის გუნდი უმაღლეს ლიგაში არ დაიშვება, თუნდაც იმიტომ, რომ 2008-09 წლების სეზონისთვის უეფას მოთხოვნა უნდა შესრულდეს — უმაღლესი ლიგის ყველა გუნდს კარგი მოედანი უნდა ჰქონდეს და ამას უეფა შეამოწმებს კიდეც.

— მიმდინარე სეზონში კი უმაღლეს ლიგაში ისეთი გუნდები დაუშვით, ელემენტარული პირობები რომ არ გააჩნდათ...

— გორის „დილა" იმიტომ დავუშვით უმაღლეს ლიგაში, რომ ამით ამ კლუბს სტიმული მივეცით და „დილას" უკვე ისეთი სპონსორი ჰყავს, გორის სტადიონსაც რომ აწესრიგებს. მეორე წრეში არ ვაპირებდით „ბათუმის" დაშვებას, მაგრამ, როცა გაირკვა, რომ ქობულეთის სტადიონს რეკონსტრუქციას გაუკეთებენ და ბათუმში ახალი სტადიონი აშენდება, „ბათუმი" დავტოვეთ უმაღლეს ლიგაში. უკვე შემიძლია გითხრათ, რომ მომავალ სეზონში ხუთი გუნდი გამოცვლის მოედანს და 6-7 ისეთი კარგი მოედანი გვექნება, სადაც უმაღლესი ლიგის მატჩები გაიმართება.

**დავით თავართქილაძე**

თბილისი. 29 ოქტომბერი. 14 საათი. ოლიმპი. 100 მაყურებელი

## ოლიმპი 1:2 ამერი 2

0:1 სევასტოპულო (6), 0:2 ვაჩეიშვილი (86), 1:2 სამსონია (87)

**ოლიმპი:** ალავიძე, ქადოძე, მაჭავარიანი, ბერუაშვილი, სულაშვილი, ხუბუა (სამსონია 77), ნეფარიძე, როსტომაშვილი, ჩხარტიშვილი (ბეგლარიშვილი 63), ხოსრუაშვილი, მიმინოშვილი (ზედგენიძე 57)
*სათადარიგონი:* ხარშილაძე, დონდოლაძე, ლანიაშვილი, ქორიძე
**მწვრთნელი:** პაატა მეტრეველი

**ამერი 2:** ნაჭყებია, ნაჭყებია, ბერიანიძე, ფირანიშვილი, მჭედლიშვილი (მეტონიძე 86), სილაგავა, ვაჩეიშვილი, შენგელია, წაბრია, სევასტოპულო (გადელია 90), მშვილდაძე (კბილცეცხლაშვილი 79)
*სათადარიგონი:* გვენცაძე, სიჭინავა, ბოჯგუა, ხარიტონაშვილი
**მწვრთნელი:** დავით მახარაძე

**გაფრთხილებები:** ხოსრუაშვილი (44), ალავიძე (78)

**მსაჯები:** ვ. გუმბერიძე; ა. გუნთაძე, ი. უკლება; ლ. კვარაცხელია



გუშინდელ თამაშში დინამიური ეპიზოდები ცოტა არ იყო

# ფარმკლუბთა ჯახი: ოლიმპმა და ამერმა პირველის ხალხი მოსინჯეს

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**გუშინ** განახლდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა. „ოლიმპის" საფეხბურთო აკადემიის მოედანზე „ოლიმპმა" „ამერი 2-ს" უმასპინძლა. ორივე გუნდი უმაღლესი ლიგის ლიდერთა ფარმკლუბია — ელიტაში აღზევების უფლება არც ერთს არ აქვს, თუმც მატჩი მაინც დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

„ოლიმპმა" პირველი გუნდიდან მიხეილ ალავიძე, გელა ხუბუა, ლევან ბერუაშვილი და მიხეილ ჩხარტიშვილი დაიმატა, ამერელებმა — ირაკლი ფირანიშვილი და დავით მჭედლიშვილი, დავით სევასტოპულო და გიორგი სილაგავა კი მეორე წრისთვის ისედაც ფარმკლუბში მოემზადნენ.

თამაში ჯერ კარგი გახურებულიც არ იყო, „ოლიმპის" მცველები რომ შეცდნენ — მეკარისთვის დაბრუნებული ბურთი სევასტოპულომ მოიგდო, ალავიძესთან პირისპირ დარჩენილმა მეკარე მშვიდად მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა — 0:1.

„ოლიმპმა" გასათანაბრებლად გაიწია, მაგრამ ყრუ დაცვაში ჩაჯდომა არც „ამერს" უცდია. პირველ ტაიმში ანგარიშის შეცვლა ორივე გუნდს შეეძლო. ამერელები ძირითადად შორი მანძილიდან ცდილობდნენ ბურთის გატანას, მაგრამ ალავიძე ყოჩაღობდა. უფრო რეალური მომენტები „ოლიმპს" ჰქონდა — ხოსრუაშვილი ჯერ თავით ცდილობდა ნაჭყებიასთვის გაეტანა, შემდეგ კი თითქმის პირისპირ დარჩენილს „ამერის" მეკარემ „მკვდარი" ბურთი აუღო.

მეორე ტაიმი ამერელთა უპირატესობით დაიწყო, მასპინძლებს მათ კართან მიახლოებაც უჭირდათ. ტაიმის ნახევარი ისე გაილია, რომ დასამახსოვრებელი არაფერი მომხდარა. ბოლოსკენ „ოლიმპი" ცდილობდა, გაეთანაბრებინა, მაგრამ უკანა ხაზი მოაშიშვლა და „ამერს" რამდენჯერმე შეეძლო ბურთის გატანა. ალავიძემ ჯერ ოთარ შენგელიას აული თავური, შემდეგ კი სილაგავას მახვილი კუთხიდან დარტყმული მოიგერია. ალავიძე უძლური იქნებოდა, მჭედლიშვილს რომ ევარგა, მაგრამ ხელსაყრელ სიტუაციაში დარჩენილმა ამერელმა იჩქარა, ყველაზე ცუდი გაგრძელება მოძებნა და მეკარეს ხელებში დაუმიზნა.

შეტევებში გართულ „ამერს" სწრაფი კონტრშეტევა გაეპარა და შეცვლაზე შესულ კახა სამსონიას მიზანი რომ გაესწორებინა, ანგარიშს გაათანაბრებდა.

თამაში დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გოლები ვიხილეთ. 86-ე წუთზე სევასტოპულომ, გიორგი კბილცეცხლაშვილმა და კახა ვაჩეიშვილმა საჯარიმოს მისადგომებთან კარგად გაითამაშეს ბურთი და ვაჩეიშვილმა დაახლოებით 18 მეტრიდან ალავიძეს მარცხენა კუთხეში გაუტანა — 0:2. მეორე გოლის შემდეგ „ამერმა" გამარჯვება სათავისოდ დაიგულა, ოდნავ მოეშვა და დაისაჯა კიდეც. ერთ წუთში მარტივ სიტუაციაში კუთხური აიკიდა, რომელიც „ოლიმპმა" სწრაფად გაითამაშა და სამსონიამ სხვაობა შეამცირა.

## საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა. 18 ტური

**გაგრა 5:0 მერცხალი**
**სამტრედია 1:0 ზესტაფონი 2**
**მეშაქრე 3:1 ჩიხურა 2**
**გურია 1:0 სპარტაკი**
**დინამო 2 7:1 ნ.დინამოელი**
**ვიტ ჯორჯია 2 0:1 მგლები**
**მეშახტე — რაჭა** გადაიდო
**მალაროელი — მესხეთი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მგლები | 18 | 15 | 2 | 1 | 33:8 | 47 |
| მესხეთი | 17 | 11 | 4 | 2 | 32:11 | 37 |
| მეშაქრე | 18 | 9 | 7 | 2 | 26:16 | 34 |
| გაგრა | 18 | 9 | 2 | 7 | 28:24 | 29 |
| დინამო 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 41:19 | 28 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 30:14 | 28 |
| ოლიმპი (თბ) | 18 | 8 | 4 | 6 | 31:20 | 28 |
| ამერი 2 | 18 | 7 | 6 | 5 | 29:24 | 27 |
| მალაროელი | 17 | 6 | 7 | 4 | 22:17 | 25 |
| მეშახტე | 17 | 7 | 3 | 7 | 24:24 | 24 |
| ნ. დინამოელი | 18 | 7 | 2 | 9 | 23:29 | 23 |
| ჩიხურა 2 | 18 | 6 | 3 | 9 | 20:27 | 21 |
| ზესტაფონი 2 | 18 | 5 | 6 | 7 | 15:16 | 21 |
| სამტრედია | 18 | 5 | 5 | 8 | 19:29 | 20 |
| სპარტაკი | 18 | 4 | 3 | 11 | 9:26 | 15 |
| გურია | 18 | 4 | 3 | 11 | 20:42 | 15 |
| რაჭა | 17 | 2 | 6 | 9 | 13:31 | 12 |
| მერცხალი | 18 | 2 | 3 | 13 | 14:49 | 9 |

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# სწრაფი, ჟინიანი და შემტევი...



...შოტლანდიური ფეხბურთის და საერთოდ ამ ნაკრების მთავარი იერსახე ყოველთვის ასეთი იყო. მართალია, სქოთებს აღარ ჰყავთ დენის ლოუს, კენი დალგლიშის, გორდონ სტრაჩანისა და ალი მაკოისტის დონის ფეხბურთელები, მაგრამ სულერთია, ვის ეთამაშებიან „მამაცი გულები", ფარერებსა თუ ბრაზილიას, მეტოქის კარისკენ ჯიუტად ინევენ. ასეთ ტაქტიკას ბევრჯერ დაუღუპავს შოტლანდია — თუნდაც 1992 წელს, ევროპის ჩემპიონატზე, გერმანიასთან 0:2 რომ წააგეს, მეტოქეს 0:0-ზე ძელები დაუღუნეს, შტურმი მოუწყვეს და დაცვა დაივიწყეს



კრის ბოიდი

**შოტლანდიის** ნაკრების მთავარ ნაკლად ყოველთვის ტაქტიკური სიჯიუტე ითვლებოდა — მათთვის ძნელია ტიპიური ბრიტანული სტილიდან რაციონალიზმზე გადასვლა, ფლანგური გარღვევები, ჩაწოდებები და ღონიერი თავურებია მათი სტიქია, თუმც ბოლო წლებში, ისევე, როგორც ბრიტანეთის სხვა ნაკრებები, სქოთებიც ცდილობენ, ევროპულ ლიანდაგებზე შედგომას.

...და რაც კარგა ხანია, არ გამოსდიოდათ, ახლა გამოსდით. აბა, საფრანგეთის ნაკრებს მარტო ჟინით და სისწრაფით როგორ მოუგებდნენ?! შარშან 12 ოქტომბერს შოტლანდიამ ევრო 2008-ის შესარჩევი ციკლის გლაზგოურ მატჩში „მამლებს" გარი კოლდუელის 67-ე წუთზე გატანილით 1:0 სძლია და დღესდღეობით ჯგუფს ლიდერობს — ოთხი თამაშიდან 9 ქულა აქვს და საფრანგეთს ბურთების შეფარდებით უსწრებს.

ქართველების მზერა ახლა სწორედ შოტლანდიისკენაა: 24 მარტს გლაზგოში ძნელი 90 წუთი გველის. მასპინძლების ტემპსა და გულიანობას „ჰემპდენ პარკის" ღრიანცელიც მიამატე, თან ჩვენები, რომ მინიმუმ ორ წამყვან ფეხბურთელს, მალხაზ ასათიანსა და ჯაბა კანკავას მოისაკლისებენ.

...მაგრამ „მამაცი გულების" დანაკლისს არ იკითხავთ? გლაზგოს „სელტიკის" მცველი სტივენ პრესლი, „მანჩესტერის" მარჯვენა ნახევარმცველი დარენ ფლეტჩერი და „ევერტონის" ფორვარდი კევინ მაკფადენი დისკვალიფიცირებულნი არიან. სამივე ძირითადის შეუცვლელი წევრია, მეტიც, ლიდერები არიან.

„მწვრთნელის შეცვლა შუა შესარჩევ ციკლში, მით უმეტეს, როცა ნაკრები კარგად თამაშობს, ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს. შოტლანდიას ამის პრობლემა შეექმნება" — ეს სიტყვები „სარბიელთან" ინტერვიუში თქვა კლაუს ტოპმიოლერმა, როდესაც შოტლანდიის ნაკრების თავკაცად უოლტერ სმიტის ნაცვლად ალექს მაკლიშის დანიშვნაზე დავეკითხეთ.

ქართველი ფეხბურთელებიდან მაკლიშს ყველაზე კარგად შოთა არველაძე იცნობს, რაკილა ერთად მუშაობდნენ „რეინჯერსში". შოთა ამბობს, მაკლიშს ტაქტიკური ცვლილებები არ უყვარს, უფრო ატმოსფეროს შემქმნელი მწვრთნელიაო. განვლილ ოთხ ევროშესარჩევ მატჩში შოტლანდიამ 20 ფეხბურთელი ათამაშა, აქედან რვას კი ძირითადში მოხვედრა გარანტირებული ჰქონდა. თუ სასწაული არ მოხდა, 24 მარტს კარში ისევ „ჰართსის" 24 წლის მეკარე კრეიგ გორდონი დადგება. სხვა თუ არაფერი, წინა ოთხ შეხვედრაში გორდონმა ოდენ სამი გოლი გაუშვა და აქედან ერთი პენალტით. მეორე გოლკიპერი, „კარდიფის" ნილ ალექსანდერი თითქმის მუდმივად სათადარიგოა.

დაცვის მარჯვენა ფლანგზე ასევე დაჯავშნული აქვს ადგილი გამოცდილ კრისტიან დეილის. შოტლანდიის ნაკრების მოქმედი ფეხბურთელებიდან მას ყველაზე მეტი, 64 კეპი მოუხვეჭია და 6 გოლიც გაუტანია. ვესტჰემელი დეილი ადრე ნახევარმცველიც გახლდათ და „დერბიში" გიორგი ქინქლაძესთან ერთადაც უბურთავია.

მარცხენა ფრთაზე 28 წლის გარი ნეისმითი უკონკურენციო იყო და ძნელად, მაკლიშმა მას ვეტერანი გრემ ალექსანდერი ამჯობინოს. ნეისმითი სწრაფი და ტექნიკურია, უკვე 21 წლის ასაკიდან „ევერტონში" თამაშობს.

დაცვის ცენტრში სქოთებს ოთხივე მატჩში დევიდ ვეირ-სტივენ პრესლის წყვილი ჰყავდათ, თუმც პრესლის არყოფნაში, სავარაუდოდ, ფრანგების დამამწუხრებელი, 24 წლის სელტიკელი გარი კოლდუელი დადგება. ვეირი კი ინგლისის პრემიერლიგის მოყვარულებს მშვენივრად ეცოდინებათ — 8 წელი „ევერტონის" დაცვის ბურჯი იყო და ორი თვის წინ გადავიდა „რეინჯერსში". ნაკრებში ის ყველაზე ასაკოვანი, 36 წლისაა.

ნახევარდაცვის შუაგულიც ხელისგულზე უნდა ჰყავდეს მაკლიშს: მთავარი ფიგურა „რეინჯერსის" კაპიტანი ბარი ფერგიუსონია, ვინც ჩაშლაშიც ძლიერია და გრძელი თუ მოკლე პასებიც კარგად ეხერხება. 28 წლის ფერგიუსონი ლიდერის თვისებებითაა დაჯილდოებული, თუმც ცოტა აფექტურია და ყვითელ-წითელ ბარათებსაც ხშირად იღებს. მოკლედ რომ ვთქვათ, შოტლანდიელი როი კინია... თუმც განვლილი ოთხი მატჩიდან მხოლოდ საფრანგეთთან ითამაშა.

ცენტრალური ნახევარმცველი ინგლისის მრავალგუნდმოვლილი ნაიჯელ ქვოშია, თუმც ცუდ სეზონს ატარებს „ვესტ ჰემში" და მაკლიში მასზე მეტად ალბათ „პორტსმუთის" რიჩარდ ჰიუზს ან „აბერდინის" სკოტ სევერინს უფრო ენდობა.

მარცხენა ფლანგზე ოთხივე ევრომატჩში „სელტიკის" პოლ ჰარტლი თამაშობდა. ის 30 წლისაა, მაგრამ სწრაფი და მოუხელთებელია. აი, მარჯვნივ კი ფლეტჩერის შემცვლელის პოვნა ძნელია — ამ პოზიციაზე „დერბის" 28 წლის გარი ტილისა და „უიგანის" ლი მაკალოხის კანდიდატურებია, თუმც ფლეტჩერს ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება.

თავდამხმაში მაკლიშს ორი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავს და, სავარაუდოდ, ტოპმიოლერის გუნდთან მათ ტანდემს დააყენებს. შარშან „ვულვერჰემპტონიდან" „სელტიკში" გადაბარგებულმა კენი მილერმა ლიტვასა და ფარერებს გაუტანა გოლები, კლუბშიც შედეგიანად ირჯება — ძალიან სწრაფი და მებრძოლი ფორვარდია, ამ მხრივ კრეიგ ბელამის ჩამოჰგავს.

მაკფადენის არყოფნა კი დიდებულ შანსს აძლევს 23 წლის კრის ბოიდს. ეს ბიჭი „რეინჯერსმა" შარშან ამ დროს იყიდა „კილმარნოკიდან" და მას აქეთ „ჩაფრების" მაისურით 33 გოლი შეაგდო. ბოიდი სქოთური პრემიერლიგის სეზონის აღმოჩენაა, უოლტერ სმიტმა მას „ახალი მაკოისტი" უწოდა. კრისმა ფარერებთან 6:0 მოგებულ შეხვედრაში დუბლი მიითვალა და ნაკრებში ოთხი გოლი გაიტანა, არადა, სულ ხუთჯერ ითამაშა.

ბოიდ-მილერის ალტერნატივა კი, შეიძლება, „კარდიფის" სტივ ტომპსონი ან „სელტიკის" ახალბედა დერეკ რიორდანი იყვნენ. განსაკუთრებით რიორდანია აღსანიშნავი — 24 წლის ფორვარდი წლეულს გადავიდა „ჰიბერნიანიდან" გლაზგოურ გრანდში და წლეულსვე, ფინეთთან მატჩისას B ნაკრებში გოლი გაიტანა.

ესაა სქოთთა ნაკრების დღევანდელი სახე და ვნახოთ, რა სალამო მოგველის 24 მარტს. ერთიც, შოტლანდიას 1998 წლის შემდეგ დიდ ტურნირებზე არ უთამაშია...

**ილია ნანობაშვილი**

# ადამიამ თასზე გაიბრწყინა

**აზერბაიჯანის** თასის მეოთხედფინალური შეხვედრები ქართველთა გუნდებმაც ითამაშეს. ჩვენებურთაგან საუკეთესო გიორგი ადამია იყო, რომელმაც თავი გოლით და ორი საგოლე პასით გამოიჩინა.

ადამიას „ნეფთჩიმ" ირაკლი ვაშაკიძის „თურანს" უმასპინძლა და მეტოქისგან ქვა-ქვაზე არ დატოვა — 7:2. თურანელმა ვაშაკიძემ კი უხეში შეცდომა მხოლოდ ადამიას გოლისას დაუშვა.

ყველაზე საინტერესო „ბაკის" და ჩემპიონატის ლიდერ „ხაზარის" მატჩი იყო. ალეკო გოგობერიშვილის და ამირან მუჯირის „ბაკიმ" ვერაფერი გააწყო ვალერი აბრამიძის გუნდთან და 0:2 დამარცხდა. ინერტულად მოთამაშე მუჯირი მეორე ტაიმის შუაში შეცვალეს, გოგობერიშვილმა და აბრამიძემ სრულად ითამაშეს.

ლექსო ინწკირველის და რომან ახალკაცის „ქარვანმა" სტუმრად 2:2 ითამაშა „არაზთან". ჩვენებურთაგან მინდორზე მხოლოდ ინწკირველი გამოჩნდა.

გიორგი კრასოვკის და დიმიტრი კაპანაძის „გენჩერბირლიგი" შინ 0:2 დამარცხდა „ინტერთან" და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ფაქტობრივად გადაეწურა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მელქაძე დარასელიას ჩაენაცვლა



ბუბა პატარკაციშვილის ფოტო

**2005 წლის** საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი, 27 წლის ლევან მელქაძე კარგა ხანი უკლუბოდ იყო. ქართველმა თავდამსხმელმა, როგორც იქნა, სასურველი გუნდი იპოვა და ლუზა ყარაგანდიში ჩაუშვა. მელქაძე ერთი წლით იქაურ „შახტიორში" ითამაშებს.

„დინამოდან" ნორვეგიულ „ვოლერენგაში" გადაბარგებულ მელქაძეს სკანდინავიური კარიერა ვერ აეწყო, გუნდის ძირითადში ვერ ხვდებოდა. ნორვეგიიდან წამოსვლის შემდეგ ტესტები ლუგანსკის „ზარიაში" გაიარა, მაგრამ უკრაინელებმა მისი დატოვება არ ისურვეს. ლევანმა ამის შემდეგ მიაკითხა „შახტიორს" და გიორგი გაბიდაურთან ერთად ყაზახური კლუბის ღირსებას დაიცავს.

წლეულს „შახტიორიდან" ვიტალი დარასელია წამოვიდა, რომელიც საქართველოს შარშანდელ ჩემპიონ ბოლნისის „სიონში" ითამაშებს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# დენ ბოსხიდან მაგზავნიან მაგადანს...

## რას მღეროდა ექსნთვემისჯილი გუს ჰიდინკი სასამართლომდე?

**რუსეთის** ნაკრებს ნახევრად პატიმარი მწვრთნელი ჰყავს — გადასახადების დამალვის გამო გუს ჰიდინკს ექვსთვიანი პირობითი პატიმრობა და 45 ათასი ევროს გადახდა მიუსაჯეს. დენ ბოსხის სასამართლომ გადაწყვეტილება გუშინ მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ჰიდინკმა 2003-2004 წლებში, მაშინ, როცა სამხრეთ კორეის ნაკრებს წვრთნიდა, ჰოლანდიის ბიუჯეტს მილიონ 642 ათასი ევრო დაუმალა. გუსმა დეკლარაციაში საცხოვრებელ ადგილად ბელგიური ქალაქი აზელი მიუთითა, რადგან ამ ქვეყანაში ნაკლებს ახდევინებენ, ვიდრე ჰოლანდიაში. არადა, აზელში ერთი ღამეც არ დაუძინია.

სასამართლოზე გუს ჰიდინკმა დაიფიცა, უდანაშაულო ვარ, ჩემმა ფინანსურმა მრჩეველმა სიმონ ვან დენ ბომენმა მომატყუა, მან დაიყინა დეკლარაციაში აზელის ჩაწერაო. მწვრთნელის ადვოკატებიც ამ ფაქტს ჩაებღაუჭნენ, ჰიდინკი ვან დენ ბომენს ენდო და არ იცოდა, კანონს თუ არღვევდაო.

პროკურორი კი გაჯიუტდა და ბრალდებულის 10 თვით ციხეში ჩაყუდებას ითხოვდა, მაგრამ თავიდანვე ჩანდა, რომ ასე არ მოხდებოდა. კანონის დარღვევისთვის 45 ათასიანი ჯარიმა გამოუწერეს და, ცხადია, იმასაც გადაიხდის, რაც ბიუჯეტს დაუმალა.

„თუ ჯარიმის გადახდას დამაკისრებენ, უფრო მაღალ ინსტანციაში გავასაჩივრებ, ხოლო თუ ციხეს მომისჯიან, მაგადანში გავიქცევი" — უთქვამს მწვრთნელს სასამართლომდე.

ჰიდინკი გამოძვრა, მაგრამ ფრთხილად უნდა იყოს. სადმე ფეხი რომ დაუცდეს, რუსებს ახალი მწვრთნელის მოძებნა მოუწევთ, რადგან პირობითი სასჯელი რეალურად იქცევა და ციხიდან ხომ ვერ უთავკაცებს ნაკრებს?!

რუსთა საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიტალი მუტკომ კი განაცხადა: „ჩვენს ნაკრებს ეს ფაქტი არაფერს ავნებს. ყველაფერი გეგმის მიხედვით გრძელდება. ჰიდინკს შეგნებულად არ დაურღვევია კანონი, იგი მრჩევლებს მიენდო. რაც შეეხება რუსეთში მის გადასახადს, ამ მხრივ, საქმე მოწესრიგებული აქვს."

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბერნდ შნაიდერი: ყველაფრის მიუხედავად, ლინკოლნის მაინც მესმის რემბოშ შალკეს უფრო დაარტყა

ლინკოლნ-შნაიდერის თემა გრძელდება.

საინტერესოა, რა გამოხმაურება მოჰყვა „შალკე" — „ლევერკუზენის" მატჩის (0:1) შემდეგ მომხდარ მუშტი-კრივს პოპულარულ „ბილდში". ჩვენ სწორედ ამ წერილს გთავაზობთ...

28 წლის რემბო-თავდამსხმელი ლინკოლნი, რომელმაც „ლევერკუზენის" და გერმანიის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველ ბერნდ შნაიდერს მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ მარცხენა ხელი სახეში ჩაარტყა, უმალ გააძევეს.

როგორც გაირკვა, შნაიდერი თამაშისას ცდილობდა ლინკოლნის პროვოცირებას, რაც ბრაზილიელმა სხვანაირად გაიგო და...

მაინც რა მოხდა სინამდვილეში?

ბერნდ შნაიდერი: „მე მისთვის SCHEISS BRASILIANER არასოდეს მითქვამს. ასეთ გამოთქმებს ჩემს ქალიშვილსაც კი ვუშლი და თავად როგორ ვიტყოდი მსგავს უხამს სიტყვას?! როცა ის ჩემკენ გამოექანა, შემეშინდა. უცებ კი გვარიანად ჩამარტყა".

ეს ლინკოლნის უკვე მეორე თავდასხმაა მოწინააღმდეგეზე. 2005 წლის ლიგის თასზე შალკელმა „შტუტგარტისა" და გერმანიის ნაკრების მოთამაშე თომას ჰიცლშპერგერს შეაფურთხა, რისთვისაც ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

ახლა კი „შალკეს" ბუნტისთავი ხუთი თამაშით დაისაჯა, რაც საკუთარი გუნდისთვის ზურგში ლახვარის ჩარტყმაა — გელზენკირხენელები ხომ ჩემპიონობისთვის იბრძვიან.

გუშინ დილით ლინკოლნმა გასახდელში გუნდს ბოდიში მოუხადა: „ძალიან ვწუხვარ ასე რომ მოხდა. ამის უფლება ნამდვილად არ მქონდა".

გუშინდლისგან განსხვავებით, როცა ლინკოლნი დაიცვა, მკაცრი იყო კლუბის მენეჯერი ანდრეას მიულერი: „მან „შალკე" დააზარალა, რასაც დაუსჯელად ვერ დავტოვებთ".

„ბილდის" ვარაუდით, რემბო 25 000 ევროთი შეითხელებს ჯიბეს.

და ერთიც — ბერნდ შნაიდერი ლინკოლნზე გადამტერებას სულაც არ აპირებს: „მასაც უნდა გავუგოთ. როცა ტიტულისთვის ასეთი დაძაბული ბრძოლაა, აგრესიაც თავისთავად, უნებლიედ ჩნდება"

**ნინო სილაგაძე**

# სად კაცი და სად ქალი?!

## კლინსმანი მერკელს დანებდა

**დღეს** კლინსმანი გერმანიის ნაკრებში დამსახურებისთვის სახელმწიფო ორდენს მიიღებს — შვიდი თვის შემდეგ იურგენ კლინსმანი პირველად ჩადის გერმანიაში.

კლინსიმ ჯერ კიდევ 14 აგვისტოს თქვა სამშობლოში ჩასვლაზე უარი — ქვეყნის პრეზიდენტ ჰორსტ კოლერს მიწვევაზე კალიფორნიიდან შეუთვალა ბოდიში, რამაც გერმანიის მეთაური, ცოტა არ იყოს, გააბრაზა.

ორდენი ყუთში დარჩა...

და აი, ექსბუნდესმწვრთნელი ბერლინში დღეს ჩავა, ოღონდ... ინტრიგაც აქ არის: კლინსი ჩადის არა პრეზიდენტთან, არამედ ბუნდესკანცლერ ანგელა მერკელთან. სწორედ ფრაუ მერკელისგან მიიღებს იგი დამსახურების „ჯვარს" — ოფიციალური ცერემონია არ გაიმართება, ყველაფერი შინაურულად, დახურულ კარს მიღმა მოხდება...

კლინსმანს კანცლერთან კარგი ურთიერთობა აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ მათ ერთ-ერთ იტალიურ რესტორანში განმარტოებულად ისადილეს. მოგვიანებით, მერკელმა კლინსი „შლოსჰოტელ გრუნეფალდშიც" მოინახულა, სადაც ბუნდესნაკრები ცხოვრობდა; ბოლოს კი იყო საქვეყნოდ განთქმული კადრი: ქალბატონმა კანცლერმა ბუნდესნაკრების ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოებისას გულში ჩაიკრა მწვრთნელი...



**ნინო სილაგაძე**

# დაკარგული გასაღები

## პოლიცია კრისტიან ლელს არ ეშვება



კრისტიან ლელი (№30)

**მიუნხენის** „ბაიერნის" მოთამაშე კრისტიან ლელი სკანდალში რომ გაეხვია, გუშინდელ „სარბიელში" წაიკითხავდით. 22 წლის ფეხბურთელმა მიუნხენის ბარ BABY-ს წინ მეგობარი გოგონა სარა ცემა და პოლიციაში ამოყო თავი.

ცხადია, კრისტიანი ნასვამი იყო. BILD-ის ცნობით კი, ის დილის 8 საათზე გაათავისუფლეს.

ლელი ტაქსით მივიდა პოლიციის სხვა განყოფილებაში, სადაც სარამ გასაღები დაუტოვა...

„ბაიერნმა" კრისტიანი 10 000 ევროთი დააჯარიმა, თუმცა ახლა მისი ბედი მეგობარ სარას გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

მიუნხენის პოლიციის პრესმდივანი პეტერ რაიხლი: „თუ ლელის წინააღმდეგ სარჩელი შემოვა, საქმეს პროკურატურა გაუძღვება."

პოლიცია კიდევ ერთხელ აპირებს ნაცემი სარას დაკითხვას — ჯერჯერობით გოგონა არ ჩივის.

და ვინ არის კრისტიან ლელი?

შაბათს მან „ბაიერნის" მაისურით პირველად ითამაშა სრული 90 წუთი და სწორედ ამის აღნიშვნა სურდა ღამის კლუბში.

როგორც ცნობილია, ის ხშირად სტუმრობს კლუბებს — P1, CROWS CLUB და BABY. ხშირად ჩნდება ლამაზ ქალებთან, მაგალითად, ფოტომოდელ იანინე ჰაბეკთან ერთად.

გერმანული პრესის ცნობით, ლელი მაჩო კი არა, კარგი ტიპია, რომელსაც ქალების კარგად ესმის, „ბაიერნის" საკლუბო წიგნში კი იგი თავს გულწრფელ და ტოლერანტ ადამიანად ახასიათებს.

და როგორ გულწრფელად ფიქრობს ლელი თავისი ცხოვრების წესზე?

ეს ასე ჟღერს: „არასოდეს დაკარგო პატივისცემა ირგვლივ მყოფთა მიმართ."

**ნინო სილაგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ არ ემტვრევა ხალხი მანჩესტერს?






**თამაშის** წინ თუ თამაშის შემდეგ კონკურენტის მოშხამვა და მის ნერვებზე გარბენ-გამორბენა სერ ალექს ფერგიუსონმა ჯერ კიდევ როდის დანერგა და, დღეს ამ ფერხულში დიდებულად ჩაბმულ ჟოზე მაურინიუს რომ უცქერ, გული სიხარულით გევსება. კაცმა რომ თქვას, არც არსენ ვენგერს დაეწუნება ის, რასაც ინგლისელები „მაინდ გეიმზ" ანუ გონებაზე (თუმცა ჯობს, ჩვენ „ნერვებზე" ვთარგმნოთ) თამაში ჰქვია და მაინც, მაურინიუ სხვაა...

„კი, როგორ არა, „არსენალს" მშვენიერი ბიჭები ჰყავს, მაგრამ მათი დახმარებით რაიმე ტიტულის მოსაგებად სამი, ოთხი ან ხუთი წელიწადი რომ გაქვს, კიდევ უკეთესია. ვინმე მეც რომ მაძლევდეს ასეთ ვადებს, ბედნიერი ვიქნებოდი — უკბინა პორტუგალიელმა ფრანგს კვირას, „კარლინგის" თასზე „ჩელსისგან" „არსენალის" 2:1 ძლევის შემდეგ — რაც მე „ჩელსიში" ვმუშაობ, „არსენალი" პრემიერლიგას პრემიერლიგაზე აგებს. ამ სეზონში ეს გუნდი ჩვენთან ხან სუპერთასზე დამარცხდა და ხანაც, აგერ, „კარლინგის" თასის ფინალში. ისე კი, რასაკვირველია, „არსენალი" გახლავთ გუნდი დიდებული ახალგაზრდა ფეხბურთელებით და უმაღლესი დონის მწვრთნელით. მას დიდი მომავალი ელის, ერთი ეგაა, ბევრს ვერ იგებს".

შემდეგ მაურინიუმ განმარტა, თუ რატომ აღმართა ხუთი თითი თამაშის დამთავრების შემდეგ.

„მე, უბრალოდ, აღვნიშნე, რომ ორწელიწადნახევარში „ჩელსიმ" მეხუთე ჯილდო მოიგო. ბოლო ჯილდო ჩვენთვის თასზე მეტია და მოხარული ვარ, იგი რომ მოვიპოვეთ. ახლა ჩვენი კოლექცია ორი ჩემპიონობისგან, ორი „კარლინგის" თასისა და ერთი სუპერთასისგან შედგება. შემდეგზე უკვე ორი ხელის აღმართვა დამჭირდება. ვფიქრობ, ამ შედეგს ყველა ხედავს და ყველა პატივს სცემს. ფანები საუცხოოდ მეპყრობიან. ისინი გრძნობენ, რომ ჩვენ ერთად დიდებული დღეები გვიდგას. ფანტასტიკურები არიან მოთამაშეებიც. და ვფიქრობ, ბედნიერია კლუბიც, რომელთანაც 2010 წლამდე მაქვს კონტრაქტი. ასე რომ არ იყოს, გრძელვადიან ხელშეკრულებას არ გამიფორმებდნენ".

შემდეგ კი მაურინიუმ თასზე ლაპარაკს თავი დაანება და ჩემპიონატზე გადაერთო, სადაც ლიდერ „მანჩესტერ იუნაიტედს" ქულებით თუ ვერა (მანჩესტერელები ჩელსელებს 9 ქულით უსწრებენ), ამ ეტაპზე ენით მაინც მისწვდა...

„როგორ მოუგეს მანჩესტერელებმა „ფულემს" ბოლო ტურში, არ მინახავს, მაგრამ მონაყოლის მიხედვით ვასკვნი, რომ მათი გამარჯვება დამსახურებული არ იყო. ეს ყოფილა თამაში, რომელიც „მანჩესტერს" შეეძლო, წაეგო კიდეც, მაგრამ მოიგო. რას იზამ, ეს ფეხბურთია. სხვათა შორის, მიმდინარე სეზონში ამ გუნდს უმართლებს, ერთი ფეხბურთელი არ დაშავებია, ხოლო წინა კვირას ლილში მის კარში რომ გოლი არ ჩათვალეს, ეგ არ იკმარეს და მასპინძლების კარში ჩათვალეს რაიან გიგზის დარტყმული ჯარიმა. ანდა, შევახსენებთ მათ თამაშს ლონდონში „ტოტენჰემთან". 0:0-ზე საჯარიმოში კრიშტიანუ რონალდუ წაიქცა, მსაჯმა უმალ პენალტი დანიშნა და... ამის შემდეგ მანჩესტერელებმა უკვე 4:0 მოიგეს. ასეთი იღბალი ჩვენ ჩემი „ჩელსიში" მუშაობის პირველ წელიწადს გვქონდა. რას იზამ, ახლა ეტყობა, მათი დროა, ჩვენ კი ამიერიდან იმ შეჯიბრებებს უნდა მივაქციოთ ყურადღება, სადაც პლეი ოფის სისტემა მუშაობს: ჩემპიონთა ლიგა და ფეხბურთის ასოციაციის თასი. რაც შეეხება პრემიერლიგას, აქ ჩვენ თამაშით ნაკლები გვაქვს და შევეცდებით, ლიდერთან ჩამორჩენა მაქსიმალურად შევამციროთ".

**პაპუნა ძედია**

# სუფრაზე აბრამოვიჩი მოიკითხეს

## რუსმა ჩელსისთან დალევა იუარა



**ფეხებზე** დაიკიდა რომან აბრამოვიჩმა „ჩელსის" სათასო ზეიმი, რითაც ფეხბურთელები გაანაწყენა. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ჟოზე მაურინიუს წასვლის შანსი იზრდება.

მილიარდერი არც გასახდელში ჩავიდა მისალოცად და არც ღამის კლუბ „აურაში" მისულა, სადაც ბიჭებმა ლიგის თასის მოგება სუფრასთან აღნიშნეს.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა აბრამოვიჩმა ჯილდოს მოგება არ მიულოცა საკუთარ გუნდს. არადა, ორი წლის წინ სულ სხვაგვარად იყო. მაშინ „ჩელსიმ" „ლივერპულს" მოუგო და რუსი გასახდელშიც ნახეს და რესტორან „ლა ფამილიაშიც", სადაც ღრეობა გაიმართა. პატრონმა თასიდან შამპანური ხვრიპა, თან ფეხბურთელებთან ერთად მღეროდა — „ჩვენ „ჩელსი" ვართ!"

„სანის" ცნობით, რომან აბრამოვიჩმა გასახდელში ჩასვლის ტრადიცია დაარღვია და მის აღდგენას აღარც აპირებს: ჯერ კიდევ იანვარში „უიგანთან" მატჩის შემდეგ არ ჩააკითხა გუნდს. ამ მატჩის წინ პატრონსა და მწვრთნელს შორის ანდრეი შევჩენკოს უთამაშებლობის გამო შავმა კატამ გაირბინა, რომელიც, როგორც ჩანს, კვლავაც დარბის — არათუ გასახდელში ჩასვლა, აბრამოვიჩმა „ჩელსის" ზედიზედ რამდენიმე მატჩიც კი გააცდინა.

ასე რომ, რუსულ-პორტუგალიური ომი „ჩელსიში" გრძელდება...

**ვაჟა ხუციშვილი**

### ინგლისი

ჩემპიონატი. XXXV ტური

სტოკი 0:1 ბარნსლი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვესტ ბრომვიჩი | 35 | 18 | 9 | 8 | 62:39 | 63 |
| დერბი | 34 | 19 | 6 | 9 | 43:34 | 63 |
| ბირმინგემი | 33 | 18 | 7 | 8 | 51:33 | 61 |
| სანდერლენდი | 35 | 18 | 6 | 11 | 52:36 | 60 |
| საუთჰემპტონი | 35 | 16 | 11 | 8 | 56:39 | 59 |
| კარდიფი | 35 | 16 | 11 | 8 | 50:36 | 59 |
| პრესტონი | 34 | 17 | 8 | 9 | 50:38 | 59 |
| ვულვზი | 35 | 17 | 8 | 10 | 38:35 | 59 |
| სტოკი | 35 | 14 | 11 | 10 | 42:28 | 53 |
| კოლჩესტერი | 35 | 15 | 7 | 13 | 54:40 | 52 |
| კრ. პალასი | 35 | 13 | 9 | 13 | 42:39 | 48 |
| პლიმუთი | 34 | 11 | 14 | 9 | 46:44 | 47 |
| ლესტერი | 34 | 11 | 11 | 12 | 37:39 | 44 |
| უენსდი | 34 | 12 | 8 | 14 | 48:53 | 44 |
| ქოვენთრი | 35 | 12 | 6 | 17 | 35:47 | 42 |
| ბარნლი | 34 | 10 | 10 | 14 | 35:37 | 40 |
| იფსვიჩი | 34 | 11 | 6 | 17 | 40:46 | 39 |
| ნორვიჩი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:50 | 38 |
| ბარნსლი | 35 | 11 | 5 | 19 | 39:58 | 38 |
| ლუთონი | 34 | 9 | 9 | 16 | 42:56 | 36 |
| ჰალი | 34 | 9 | 8 | 17 | 35:48 | 35 |
| ქუინზ პარკი | 34 | 9 | 8 | 17 | 39:54 | 35 |
| საუთენდი | 35 | 7 | 10 | 18 | 34:56 | 31 |
| ლიდსი | 34 | 9 | 4 | 21 | 34:58 | 31 |



# ტერ-მოყვარე

## მოარიდეთ თავს ფეხი

**ისე** მოხდა, რომ „ჩელსის“ კაპიტან ჯონ ტერის „არსენალის“ ექიმ გერი ლევინისთვის ძალიან გულწრფელი მადლობა გაუხდა სათქმელი. ამ მადლობის ფოტოდასტურს თავად ხედავთ, ის „სანის“ ნაპაპარაცალია — ყველაფერსჩასაფრებული ინგლისური გაზეთის ფოტოკორესპონდენტს ხსენებული ორი კაცის ემოციური შეხვედრა აქვს აღბეჭდილი.

„გმადლობ, ძმაო, ვალში ვარ!“ — უთქვამს ტერის ლევინისთვის.

და მართლაც, „არსენალის“ ფიზიოთერაპევტის სწრაფი გადაწყვეტილებები რომ არა, არსენალელ აბუ დიაბისთან შეტაკებულ ტერის, შესაძლოა, საქმე ცუდად წასვლოდა. ის მოედანზე გონდაკარგული დაეცა და ენაგადაყლაპულმა კრუნჩხვა დაიწყო. საბედნიეროდ, ლევინი ამ დროს მოედანზე იყო, რადგან წამით ადრე თავისი გუნდის ფეხბურთელს უწამლა რალაც. „არსენალის“ ფიზიოთერაპევტი, რომელიც ინგლისის ნაკრებშიც მუშაობს, მყის ჩაერთო საქმეში და ტერი გადაარჩინა.

„ჩელსის“ გადარჩენილი კაპიტანი შემდეგ საავადმყოფოში წაიყვანეს, საიდანაც საათსა და ორმოცდაათ წუთში „მილენიუმ სტედიუმზე“ დაბრუნდა (ამ დროისთვის თამაში უკვე დამთავრებული გახლდათ, მისი თანაგუნდელები კი გამარჯვებას ზეიმობდნენ) და ლევინს დაუწყო ძებნა.

როგორც ფოტოდან ხედავთ, იპოვა კიდეც.

საინტერესოა, რომ შეჯახების მეორე მონაწილე, ზემოხსენებული აბუ დიაბი მდგომარეობიდან ასე „იოლად“ ვერ გამოვიდა. ტერის თავმა მისი კოჭი ისე დააზიანა, რომ დიაბი ორი კვირის განმავლობაში ფეხბურთს ვერ ითამაშებს.

და ერთიც: ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა გუშინ ასეთი სასჯელები გამოიტანა: „ჩელსი“ — „არსენალის“ მატჩში გაძევებული ჯონ ობი მიკელი ოთხ თამაშს გამოტოვებს, ემანუელ ადებაიორი კი — სამს.

**პაატა ძიდია**

## ტაშ-ფანდურა რონალდუ

**ჟურნალ** VOGUE-სთან საუბარში კრიშტიანუ რონალდუმ დაიტრაბახა, რომ გუნდში ყველაზე უფრო მოდურია და უკეთ ცეკვავს. მისი თქმით, ინგლისელებისგან განსხვავებით, ამისთვის სულაც არ სჭირდება დათრობა, ფეხბურთიც კარგად „იგრიხება“. ხოლო რაც შეეხება ჩაცმას, რონალდუს აზრით, ამ მხრივ, თანაგუნდელებში ბოლო ადგილზეა ფრანგი ლუი საა.

## გარი, გაანებე თავი!

**ალექს ფერგიუსონმა** გარი ნევილი ორიგინალურად დასაჯა. გასულ უქმეებზე მანჩესტერიდან ლონდონში გუნდთან ერთად წაიყვანა, მაგრამ „ფულემთან“ არ ათამაშა. რა დააშავა ნევილმა? რა და, „ლილთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩისას მწვრთნელს ყური არ უგდო. გიგზის გოლით გაბრაზებული ლილელები მოედნიდან რომ გადიოდნენ, ნევილი მათთან მივიდა და უკან დაბრუნებას სთხოვდა. ფერგიუსონმა უღრიალა, შეეშვი, თავში ქვა უხლიათო, მაგრამ გარიმ არ გაუგონა და შოტლანდიელი გააბრაზა. შედეგად, „ფულემთან“ შეხვედრისას სათადარიგოებში აღმოჩნდა.

## სიტი მაისში აყვავდება

**„სანის“** ვარაუდით, მაისში „მანჩესტერ სიტის“ ახალი პატრონი ეყოლება — ამერიკული კონსორციუმი, რომელიც კლუბის აქციათა საკონტროლო პაკეტის ყიდვას 42 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ აპირებს. სიტელთა მწვრთნელ სტიუარტ პირსს კი ახალი ფეხბურთელების შესაძენად 20 მილიონ გირვანქას ჩაახუტებენ.

**გაგა ხუციშვილი**

# ლილი რკინის ქალამნებით კი არ ვებრძვით, ვეხმარებით!

**ფრანგული** „ლილი“ უეფას გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის მიხედვითაც მანჩესტერელი რაიან გიგზის გოლი და ანგარიში 1:0 ძალაში რჩება.

შეგახსენებთ: გასულ სამშაბათს ლანსში, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის პირველ მატჩში „მანჩესტერმა“ „ლილს“ 1:0 მოუგო. გოლი რაიან გიგზმა საჯარიმო დარტყმით გაიტანა მაშინ, როცა მეკარე ტონი სილვა კედელს აყენებდა.

გაბრაზებული მასპინძელი ფეხბურთელები მოედნიდან გავიდნენ და თამაშის ჩაშლას აპირებდნენ.

უეფამ პარასკევს არ დააკმაყოფილა ფრანგთა საჩივარი და ახლა მათ სააპელაციოს მიმართეს, რომელიც საქმეს ზეგ, 2 მარტს განიხილავს, საპასუხო მატჩამდე ხუთი დღით ადრე. განხილვას „ლილის“ წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

ფრანგები ამბობენ, რომ გოლი უნდა გაუქმდეს.

„არ ვებრძვით რომელიმე გუნდს, ამ შემთხვევაში „მანჩესტერს“ და არც უეფას [illegible] მატჩის შედეგზე პირდაპირი გავლენა მოახდინა მსაჯმა. „ლილი“ იბრძვის სხვა გუნდებისთვის, მათაც იგივე რომ არ დაემართოთ და არ დაიჩაგრონ“ — განაცხადა დაჩაგრულთა პრეზიდენტმა მიშელ სეიდომ.

თავის მხრივ, უეფაში ირჩევა ლილელ ფეხბურთელთა საქციელიც. ისინი ხომ მატჩის ჩაშლას ლამობდნენ.

**გაგა ხუციშვილი**

# მე სისხლის წვეთი ვარ!




ინგლისური „ვესტ ჰემის“ მეკარე რობერტ გრინი ბოლოხანს საგაზეთო მესვეტეობას რომ შეუდგა, „სარბიელის“ მკითხველისთვის ცნობილი ამბავია. მეტიც, გოლკიპერის ნააზრევი მსაჯობის პრობლემების შესახებ წინა ხუთშაბათს გაგაცანით კიდეც.

რამ გამოიწვია გრინისეული ანალიტიკისადმი გაძლიერებული ინტერესი? იმან, რომ წერილების ავტორი მოქმედი სპორტსმენია ანუ წერს იმაზე, რასაც გარედან კი არ აკვირდება, არამედ იმაზე, რაც უშუალოდ მის თავს ტრიალებს, თუმცა ეს „მეორე სართულია“. „პირველი“ ის გახლავთ, რომ ის ფეხბურთელია და წერს, ეს კი საკმაოდ უჩვეულო რამ გახლავთ...

## ერთხელ სკოლაში ციოდა...

მოკლედ, გადავწყვიტეთ, „ვესტ ჰემის“ კარის მცველის კიდევ ერთი წერილი გაგაცნოთ. მის პუბლიკაციებს „სარბიელში“ რეგულარულ სახეს, ბუნებრივია, ვერ მივცემთ, მაგრამ თუ გავეცნობით, რას ფიქრობს პრემიერლიგის ფეხბურთელი ბილეთების ფასსა და გუნდის მიერ პროტესტის ნიშნად მოედნის დატოვებაზე (გაიხსენეთ „ლილის“ საქციელი „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში), ნამდვილად არაფერი დაშავდება...

### ბილეთი მხოლოდ და მხოლოდ ბილეთია

ამ კვირაში „ბოლტონმა“ განაცხადა, რომ მომავალი სეზონიდან ბილეთებს გააიაფებს. ბოლტონელებს ამით სტადიონზე მეტი მაყურებლის მიზიდვა უნდათ. დანარჩენი კლუბები მდგომარეობას აკვირდებიან და არ არის გამორიცხული, რომ იმავეს გაიმეორებენ. თუ ასე მოხდება, ქომაგები გაიხარებენ, ჩემთვის კი მთელი ეს ამბავი კიდევ ერთი რამის მანიშნებელია.

საქმე ის გახლავთ, რომ მომავალი სეზონი პრემიერლიგის კლუბებისთვის სატელევიზიო შემოსავლების თვალსაზრისით სარეკორდო იქნება — ახალი ხელშეკრულებები უკვე დადებულია. ეს ამ კლუბებს საშუალებას აძლევს, ფანებს ბილეთები გაუიაფონ, მაგრამ ყველა კლუბი როდი აპირებს ამას. მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ოლდ ტრეფორდის“ აბონემენტები ბოლო წლებში ფრიად გააძვირა. მიზეზი: „იუნაიტედმა“ კარგად იცის, რომ თითოეული იმ ფანის სკამს, რომელმაც ცხელ გულზე აბონემენტი დაწვა, სულ მცირე, ათი ახალი, სიამოვნებით დაიკავებს.

ხოლო ნონ-ლიგის „უოკინგისთვის“ ბილეთების გაიაფების ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს. „უოკინგს“ რომელიმე გულშემატკივარი რომ წაუვიდეს, მის ნაცვლად ათი ახალი არსაიდან მივა, ასე რომ, თითოეულ ქომაგს ამ კლუბის ბიუჯეტისთვის სისხლის წვეთის მნიშვნელობა ენიჭება. პირადად მე თავისუფალი დღე გამომიჩნდება თუ არა, „უოკინგის“ თამაშის სანახავად კინგსფილდში გავრბივარ, რადგან ამ გუნდის ქომაგი გახლავართ.

მათთვის, ვინც არ იცის: „უოკინგი“ ამჟამად კონფერენსლიგის შუაშია და თუ გაუმართლებს, სეზონის ბოლოს პლეი ოფში ამოჰყოფს თავს, თუმცა საქმის ცუდად წასვლის შემთხვევაში არც გავარდნაა გამორიცხული.

„უოკინგისნაირი“ გუნდებისთვის ფანების სტადიონზე მისვლა მხოლოდ გამამხნევებელი ხმაური კი არა, ფინანსური მხარდაჭერაც არის. ასე იქმნება კავშირი მწვრთნელებს, ფეხბურთელებს, კლუბის სხვა თანამშრომლებსა და ფანებს შორის. მე გამიმართლა, 90-იან წლებში ჩემი საყვარელი გუნდის აღმავლობის ხანას შევესწარი. მაშინ „უოკინგში“ მშვენიერი ფეხბურთელები იყვნენ თავმოყრილნი და ისინი ლამაზ ფეხბურთს თამაშობდნენ.

და ისე, როგორც ყველა ინგლისელი ქომაგი — პრემიერლიგის ოთხი წამყვანი კლუბის ქომაგთა გარდა — სტადიონზე მეც გამარჯვების თუ არა, ლამაზი ბრძოლის სანახავად მივდივარ, ორივეს ერთდროულად კი არ ველი. ვიცი, რომ იქ, მოედანზე, წესიერი ბიჭები კლუბისთვის, ჩემთვის და ერთმანეთისთვის ყველაფერს აკეთებენ, რაც ხელეწიფებათ და, ამის შემყურე მაყურებელიც, სტადიონიდან შინ ბედნიერი ბრუნდება.

ეს ნებისმიერ ლიგაში ასეა.

### ლილი მართალი არ იყო

„ლილისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შეხვედრის დროს მოედანზე თუ მის მიღმა მომხდარმა ამბებმა ინგლისური გუნდის მნიშვნელოვანი გამარჯვება დაამცირეს. რასაკვირველია, შემაშფოთებელი გახლდათ ტრიბუნებზე ფანების შეტაკებაც, თუმცა მთავარი ყურადღება აი, რამ მიიპყრო: რაიან გიგზის მიერ გატანილი ჯარიმის შემდეგ თავიანთი მწვრთნელის შეგულიანებული „ლილის“ ფეხბურთელები პროტესტის ნიშნად მოედნის დატოვებას აპირებდნენ.

საერთოდ, ფეხბურთი ემოციებთან არის დაკავშირებული და კონკრეტულ მომენტში ფეხბურთელების აღელვება უნდა გავიგოთ. ემოციები პიროვნებებს წარმოაჩენს, ამის გარეშე კი ყველაფერი მოსაბეზრებელი იქნებოდა, მაგრამ მოთამაშეთა მოედნიდან გაყვანა იმიტომ, რომ საქმეები შენ სასარგებლოდ არ მიდის, ბავშვობაა.

დაახლოებით 20 წელიწადია, ფეხბურთს ვთამაშობ და ამ ხნის განმავლობაში კიდევ მახსენდება ერთი შემთხვევა, როდესაც ასეთივე რამ ვნახე. ეს სკოლაში მოხდა, კვირა დილას.

იმხანად „უოკინგის“ ბავშვთა გუნდში ვთამაშობდი. ცივი, ქარიანი დილა იყო. მოწინააღმდეგემ მაისურების შიგნით საკლუბო ქურთუკები ჩაიცვა. გვარიან ქარში პირველი ტაიმი 4:0 მოვიგეთ, შესვენებისას კი მეტოქის მწვრთნელმა გამოაცხადა, რომ მეორე ტაიმის თამაშს აღარ აპირებს და თავისი ბიჭები სახლში წაიყვანა.

და, რა თქმა უნდა, მაყურებელს ბილეთის ფული არავინ დაუბრუნა...

**პაატა ძიდია**



# მიშელ პლატინი: მომყევით!

**ევროპული** ფეხბურთის ახალმა შეფმა მიშელ პლატინიმ უეფას გამოცემა UEFA-DIRECT-ში თავისი ნააზრევი გამოაქვეყნა.

ან, რას ამბობს პლატინი: „როცა პრეზიდენტად ამირჩიეს, იგივე ვიგრძენი, რასაც ფეხბურთელობისას, გამარჯვების დროს ვგრძნობდი. თუმც ამჟამინდელი თანამდებობა უფრო მწვრთნელობას მაგონებს. ჩემი მიზანია, დავარწმუნო ევროპული ფეხბურთის ლიდერები, გაიზიარონ პლატინის შეხედულებები. ვიცი, ამბობენ, თითქოს შეხედულება რომანტიკაში გადადის და იდეალისტურია, მაგრამ მჯერა — გრძელვადიან პერსპექტივაში ჩემი გეგმა ფეხბურთს ყველა წინააღმდეგობას გადაალახვინებს და კიდევ უფრო პოპულარული გახდება...

...მხოლოდ დღევანდელზე ზრუნვა არაფერს გვარგებს. არ გვინდა, ჩვენი პროდუქტი უმალ გავასაღოთ ანუ მივყიდოთ იმას, ვინც ბევრ ფულს შემოგვთავაზებს. ჩვენ გაცილებით მეტს უნდა მივაღწიოთ — უეფას ეგიდით გამართული ყველა შეჯიბრი ნელ-ნელა უფრო პოპულარული და მიმზიდველი გახდება როგორც თამაშის ხარისხით, ასევე შედეგებით. ცხადია, ფეხბურთს ფული სჭირდება, მწვრთნელების კვალიფიკაციისა და, შესაბამისად, მოთამაშეების კლასის ასამაღლებლად, ასევე მათთვის კომფორტული პირობების შესაქმნელად და მაყურებლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ფეხბურთი უფრო მასობრივი უნდა გავხადოთ, რათა მან სოციალური ფუნქცია იკისროს და მოზარდები დააინტერესოს. მე ვერ შევეგუები იმ ხალხს, ვინც ფეხბურთში საკუთარი გამორჩენის მიზნით მოდის, რადგან ეს მისთვის კარგი ბიზნესია...

...დიახ, იდეალისტი უნდა იყო და გწამდეს, რომ საერთო ინტერესი პირადულზე გაიმარჯვებს, სპორტის ძალა ფულით მოპოვებულ ძალას აჯობებს, ფეხბურთელები და კლუბები ერთ ოჯახს შექმნიან, თუმც იდეალისტი მეოცნებეს არ ნიშნავს — ესაა ყველაფრის უკეთესობისკენ შეცვლის სურვილი...

...ჰოდა, რადგან მე ამირჩიეს, ცვლილებებისთვის მზად არიან. ახლა კი ჩემი ჯერია. მწვრთნელის საუკეთესო თვისებები უნდა გამოვავლინო და მთელ გუნდს გავაგებინო, როგორი ტაქტიკით ვითამაშებთ."

# ბლატერმა ოთხი თითი აწია

**ფიფას** პრეზიდენტი ზეპ ბლატერი ოთხი გვერდითი მსაჯის იდეას ემხრობა. „თუკი მთავარ არბიტრს ოთხი დამხმარე ეყოლება, მას ამით საქმე ერთი-ორად გაუადვილდება და დარწმუნებული ვარ, მსაჯობასთან დაკავშირებით ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდება" — განაცხადა პრეზიდენტმა „ევროსოკერთან" საუბარში.

ბლატერმა ეს საკითხი ფიფას კომიტეტის სხდომაზე უნდა გაიტანოს, რომელიც წესების ცვლილებასთან დაკავშირებით საგანგებოდ შეიკრიბება.

# ტიმოშჩუკის ძვირი დღეები



**დონეცკის** „შახტარის" კაპიტანმა ანატოლი ტიმოშჩუკმა განაცხადა, სანკტ პეტერბურგის „ზენიტთან" კონტრაქტს უახლოეს ორ-სამ დღეში გავაფორმებო.

28 წლის ფეხბურთელის ეს ტრანსფერი უძვირესია პოსტსაბჭოურ სივრცეში — რუსები 20 მილიონ დოლარს იხდიან.

„მე ზუსტად არ შემიძლია იმის თქმა, თუ რამდენს იხდის რუსული კლუბი ამ ტრანსფერში, თუმცა, ვფიქრობ, თანხა 10 მილიონ ევროზე მეტი იქნება. ყველაფერი ოფიციალურად მაშინ გამოცხადდება, როცა კონტრაქტს გავაფორმებთ — თქვა ტიმოშჩუკმა — „ზენიტში" იმაზე უკეთესი პირობები მექნება, რაც „შახტარში" მქონდა, მაგრამ ეს ჩემთვის არჯა მთავარი. მინდოდა, თავი ახალ კლუბში და ახალ ჩემპიონატში გამომეცადა".

თუ სასწაული არ მოხდა და ტრანსფერი შედგა, ოცმილიონიანი ტიმოშჩუკი საკონტრაქტო თანხად მილიონ დოლარს მიიღებს, ხელფასი კი თვეში დაახლოებით 200 ათასი დოლარი ექნება.

აქამდე პოსტსაბჭოურ სივრცეში ყველაზე დიდი თანხა მოსკოვურმა კლუბებმა, „დინამომ" და „სპარტაკმა" გადაიხადეს — „ლურჯებმა" პორტუგალიელი მანიშე 16 მილიონად იყიდეს, „წითლებმა" კი არგენტინელ ფერნანდო კავენაგიში 11,5 მილიონი გაიღეს.

საინტერესოა, რომ არც მანიშე და არც კავენაგი რუსეთში უკვე აღარ არიან — ერთი მადრიდის „ატლეტიკოშია", მეორე ფრანგულ „ბორდოში".

**ქახა შალამბერიძე**

## ნესტამ მაიამიდან მხარი ჩამოიტანა

**ალესანდრო ნესტა** გამოკეთდა და მარტიდან ალბათ ითამაშებს. „მილანის" მცველს მხრის ტრავმის გამო 26 ნოემბრის შემდეგ არ უთამაშია — ამერიკაში, მაიამიში მკურნალობდა.

„თავს კარგად ვგრძნობ. მხარი მომირჩა და ორ-სამ კვირაში მოედანზე მიხილავთ. საუკეთესო ქირურგებთან ვიმკურნალე, მაიამიში იმიტომ წავედი, რომ იქ შესანიშნავი ცენტრი აქვთ" — თქვა ნესტამ.

## ჰარი პოტერი ინტერისთვის

**მილანის** „ინტერმა" პორტუელ რიკარდო კვარესმას დაადგა თვალი.

კვარესმა ერთ-ერთი უსწრაფესი გარემარბი და უძლიერესი დარტყმის პატრონია. მან კარიერა „სპორტინგში" დაიწყო, საიდანაც 2003-ში „ბარსელონაში" გადავიდა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ „პორტუში" აღმოჩნდა. სისწრაფისა და მოქნილობის გამო მას „ჰარი პოტერს" ეძახიან.

კვარესმას „პორტუსთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს.

## ჯარისკაცი ბექემი

**„სანდი მირორის"** ცნობით, დევიდ ბექემს მხატვრულ ფილმში გადაიღებენ, რომელიც პირველ მსოფლიო ომს ასახავს. ბექემი ინგლისელი ფეხბურთელის როლს ითამაშებს, ვისაც საომრად წაიყვანენ და ფრონტზე გერმანელ ჯარისკაცებს შეეხლება. ფილმს „საშობაო ზავი" ჰქვია და მისი რეჟისორი უკრაინელი ვადიმ პერელმანია. მისი გადაღებული „ქვიშისა და ნისლის სახლი" თავის დროზე ოსკარის სამ ნომინაციაზე იყო წარდგენილი.

„საშობაო ზავის" გადაღება გაისად დაიწყება.

## ბოროვსკიმ ნაადრევად დაასრულა

**ბრემენის** „ვერდერის" ნახევარმცველ ტიმ ბოროვსკის „გლადბახთან" მატჩში მარცხენა მუხლის მყესები გაუწყდა და სეზონი ნაადრევად დაასრულა. გარდა ამისა, მიროსლავ კლოზეს რაღაც ინფექცია შეჰყრია და, შესაძლოა, ვერც ამ უქმეებზე ითამაშოს „ბოხუმთან" და ვერც უეფას თასზე „სელტასთან", რომელიც 8 მარტს გაიმართება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სამპდორია | : | ატალანტა |
| ლაციო | : | კატანია |
| ტორინო | : | კალიარი |
| რეჯინა | : | ფიორენტინა |
| სიენა | : | ლივორნო |
| ემპოლი | : | მესინა |
| პალერმო | : | მილანი |
| ასკოლი | : | პარმა |
| კიევო | : | რომა |
| ინტერი | : | უდინეზე |

# იტალია

# რვა: მილანს დაცვა დაერღვა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 24 | 21 | 3 | 0 | 54:19 | 66 |
| რომა | 24 | 16 | 4 | 4 | 49:18 | 52 |
| პალერმო | 25 | 13 | 5 | 7 | 41:30 | 44 |
| ლაციო | 24 | 11 | 7 | 6 | 37:18 | 37 |
| მილანი | 24 | 12 | 8 | 4 | 33:21 | 36 |
| ემპოლი | 24 | 9 | 8 | 7 | 21:21 | 35 |
| ფიორენტინა | 24 | 14 | 4 | 6 | 38:21 | 31 |
| ატალანტა | 24 | 7 | 10 | 7 | 38:34 | 31 |
| უდინეზე | 24 | 8 | 7 | 9 | 28:32 | 31 |
| კატანია | 25 | 8 | 7 | 10 | 33:45 | 31 |
| სამპდორია | 24 | 8 | 6 | 10 | 31:31 | 30 |
| ლივორნო | 24 | 6 | 9 | 9 | 24:35 | 27 |
| სიენა | 24 | 5 | 11 | 8 | 23:29 | 25 |
| კალიარი. | 24 | 4 | 11 | 9 | 18:28 | 23 |
| კიევო | 24 | 5 | 7 | 12 | 25:33 | 22 |
| ტორინო | 24 | 5 | 7 | 12 | 18:34 | 22 |
| რეჯინა | 24 | 8 | 7 | 9 | 29;33 | 20 |
| მესინა | 24 | 4 | 8 | 12 | 24:39 | 20 |
| პარმა | 24 | 3 | 7 | 14 | 20:43 | 16 |
| ასკოლი | 24 | 2 | 8 | 14 | 18:38 | 14 |

*სიენას დაკლებული აქვს 1 ქულა, ლაციოს 3 ქულა, მილანს 8 ქულა, რეჯინას 11 ქულა, ფიორენტინას 15 ქულა*

**ტურის** მთავარი მატჩი „რენცო ბარბერაზეა" — „პალერმო" „მილანს" მასპინძლობს. ამ შეხვედრას ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს. სიცილიელებმა სეზონი ბრწყინვალედ დაიწყეს, მაგრამ ბოლო დროს ძველებურად ველარ ირჯებიან და პრეზიდენტ მაურიციო ძამპარინის კრიტიკაც დაიმსახურეს. „როსონერი" კი პირიქით, ეს-ესაა, გონს მოეგო და კარლო ანჩელოტის გუნდს მეოთხე ადგილთან ქულაღა აშორებს.

„პალერმოს" დისკვალიფიცირებული მატია კასანი და დაშავებული ანდრეა ბარძალი არ ეყოლება. „როსონერის" კი ისევ დაცვაში აქვს პრობლემები — სერჟინიო, კახა კალაძე, კაფუ, ალესანდრო ნესტა, მარეკ იანკულოვსკი, ალესანდრო კოსტაკურტა და პაოლო მალდინი დაშავებულები არიან, ხოლო მასიმო ოდო დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

უკვე ჩემპიონად მონათლული „ინტერი" სერია A-ში მიჯრით მე-18 გამარჯვების მოპოვებას შინ ეცდება „უდინეზესთან". „ნეროაძური" ტრავმირებული ესტებან კამბიასოს, პატრიკ ვიეირასა და დისკვალიფიცირებული დეიან სტანკოვიჩის გარეშე იქნება. უდინელთა მთავარი დანაკლისი კი ვინჩენცო იაკინტაა, რომელიც წინა ტურში, „პარმასთან" მატჩში დაშავდა და სამკვირიანი უქმობა მოუწევს.

„რომა" გადარჩენისთვის მებრძოლ „კიევოს" სტუმრობს. წინა სეზონში „სტადიო ბენეგოტიზე" ამ გუნდებს შორის საოცარი მატჩი გაიმართა, რომელიც 4:4 დასრულდა. დიდი შანსია, ეს შეხვედრაც უხვგოლიანი გამოდგეს, რადგან ლუიჯი დელ ნერი შემტევი ტაქტიკით თამაშს აპირებს, „გლადიატორებს" კი „ინტერის" მერე ყველაზე მეტი გოლი აქვთ გატანილი სერია A-ში.

მასპინძლები ვინჩენცო იტალიანოსა და სალვატორე ლანას მოისაკლისებენ. ლუჩანო სპალეტის განკარგულებაში კი, ფაქტობრივად, სრული შემადგენლობაა.

დიდი ჯახი უნდა იყოს „სტადიო ორესტე გრანილოზეც". დაკლებული 11 ქულის მიუხედავად, ბევრისგან ჩამოწერილი „რეჯინა" სერიაში დასარჩენად თავგანწირვით იბრძვის და უკვე დაამტკიცა, რომ ნებისმიერი მეტოქის გამწარება შეუძლია. „ფიორენტინამ" კი სულაც მინუს 15 ქულით დაიწყო სეზონი, მაგრამ მაინც მეოთხე ადგილს უმიზნებს და მათთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს.

„რეჯინას" ფანების საყვარელი ფეხბურთელი ჯანდომენიკო მესტო დისკვალიფიციის გამო ვერ ითამაშებს; ლუკა ვიჯანი ბოლომდე არ მომჯობინებულა; დაშავებულია ალესანდრო გაციც. ჩეზარე პრანდელის კი მარკო დონადელის, მასიმო გობისა და მარიო სანტანას გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

მეოთხეადგილოსანი „ლაციო", რომელიც მშვენიერ ფორმაშია, პოზიციის შენარჩუნებას შინ „კატანიასთან" მატჩში ეცდება.

შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ სიცილიელებმა აურიეს და ცხრილის შუაგულში დაეშვნენ — მათ წლეულს ჯერ არ მოუგიათ.

მასპინძლებს სტეფან მაკინვა და ანჯელო პერუცი არ ეყოლებათ. ალბათ, ვერც გაბი მუდინგაი ითამაშებს, სტუმრები კი ჯანლუკა ფალზინის, კრისტიან სილვესტრისა და ჯონათან სპინეზის გარეშე იქნებიან.

სპინეზი წინა ტურში „ინტერთან" მატჩში უხეშობისა და გინებისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 3 000 ევროთი დაისაჯა.

მორიგ ტოსკანურ დერბიში „სიენა" „ლივორნოს" დაუხვდება. მასპინძლებს ლეონარდო რინაუდო და ენრიკო კიეზა არ ეყოლებათ. სტუმართაგან კი გრიპის გამო სამუელ კუფურის თამაშია საეჭვო.

ექვსქულიანი მატჩებია აუტსაიდერებს შორის: „ასკოლი" „პარმას" მასპინძლობს, ხოლო „ტორინო" „კალიარის".

**ქოქი ქანდელაკი**



# ქორწილია, ქორწილი!

**იტალიის** ნაკრებისა და ტურინის „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონმა დაადასტურა, რომ მალე ალიონა სერედოვაზე დაქორწინდება.

მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე და რუსული წარმოშობის ჩეხი ფოტომოდელი უკვე კარგა ხანია, ერთად ცხოვრობენ, ახლა კი ურთიერთობის ოფიციალურად გაფორმებას აპირებენ.

„როცა ორი ადამიანი ერთად თავს კარგად გრძნობს, ლოგიკურია, რომ ისინი დაქორწინებაზე ფიქრობენ. ქორწილი აუცილებლად გვექნება, თუმცა ზუსტ თარიღს არ გეტყვით“ — უთხრა მშვენიერმა სერედოვამ ყოველკვირეულ CHI-ს.

იგივეს ფიქრობს ბუფონიც: „მე მინდა, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ დავქორწინდე და ამიტომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას ბევრი ვიფიქრე. როცა ყველაფერს ოფიციალურად გავაფორმებთ, მერე ბავშვების გაჩენაზეც ვიფიქრებთ“.

**ბაჩა ზალამბერიძე**

# კოკაინზე მაგარი კაიფი: აჯობე საკუთარ თავს!



ფრანჩესკო ფლაკი

**იტალიური** „სამპდორიას“ ფორვარდ ფრანჩესკო ფლაკის კოკაინის ხმარება რომ დაუმტკიცდა, გეცოდინებათ. ძნელად სავარაუდოა, განმეორებითმა ტესტმა სხვაგვარი შედეგი აჩვენოს, ასე რომ, მას ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის.

გენუელთა მწვრთნელმა ვალტერ ნოველინომ, რომელსაც ფლაკისთან ახლო ურთიერთობა აქვს, ფეხბურთელს საჯაროდ შეუთვალა, რაც უნდა მოხდეს, შენ გვერდით ვიქნები და რთული პერიოდის გადალახვაში დაგეხმარებიო.

„ფიორენტინას“ ყოფილი ფორვარდი გაამხნევა ადრიან მუტუმაც, რომელიც თავის დროზე ასევე კოკაინზე იყო შემჯდარი. ამის გამო იგი ლონდონის „ჩელსიდან“ გააგდეს, მაგრამ რუმინელი „იუვენტუსმა“ დაიმატა. მან იმკურნალა და ახლა „იებში“ განათხოვრებული მუტუ ბრწყინვალედ ირჯება...

ვალტერ ნოველინო: „იმედია, ყველას ესმის, რომ ეს მარტო ფრანჩესკოს კი არა, მილიონობით ადამიანის პრობლემაა. ახლა მასზე, როგორც პიროვნებაზე, უფრო ვნერვიულობ. ფლაკი კარგი ბიჭია, მაგრამ ცხოვრებაში ცუდებსაც ხვდები, რომლებიც ზოგჯერ შენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. ფრანჩესკო შვილივით მყავს და თუ დავჭირდები, ყოველთვის მის გვერდით ვიქნები. იმედს ვიტოვებ, რომ განმეორებითი ტესტი სხვა შედეგს აჩვენებს. ახლა ფლაკის, მის ოჯახსა და შვილებს ძალიან მძიმე პერიოდი უდგათ.“

„როცა ასეთ ვითარებაში აღმოჩნდები, თავს ძალიან ცუდად გრძნობ, მაგრამ, როცა ამ სიტუაციიდან გამოძვრები, საოცარი გრძნობა გეუფლება. ვთვლი, რომ მაშინ ჩემს თავზე გავიმარჯვე. სამაგიეროდ, ოჯახსა და კარიერაში ყველაფრის გამოსწორების შანსი მომეცა. იმედია, ამის საშუალება ფლაკისაც ექნება“ — განაცხადა მუტუმ.

**ბოჭი ჭანდელაკი**

# იუვენტუსი ისევ მოთავეა

**მოდენა 0:1 იუვენტუსი**

0:1 ჩენტურიონი (86ს.კ.)
იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ბუმსონგი, კიელინი, ბალძარეტი, კამორანეზი, კ. ძანეტი, ჯანიკედა, ნედვედი, დელ პიერო (ბოჟინოვი 77), ტრეზეგე
მწვრთნელი: დიდიე დეშანი
მსაჯი: მარელი
18 000 მაყურებელი

### მატჩი

„**იუვენტუსმა**“ „მოდენასთან“ მატჩში 19 დეკემბრის მერე პირველი საგარეო გამარჯვება მოიპოვა და სერია B-ს თავში დაბრუნდა. ტურინელებს ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ რომ არა მატეო ჩენტურიონი, ეგებ ვერც მოეგოთ — დაშავებული ალესანდრო დელ პიეროს ნაცვლად მინდორზე შესულმა ვალერი ბოჟინოვმა 86-ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან ჭკვიანურად ჩააწოდა, მასპინძელთა მცველმა იფიქრა, დავიდ ტრეზეგეს ბურთს ავაცლიო, მაგრამ ეს ცუდად გამოუვიდა და ვარდნაში თავურით ისე კოხტად გაიტანა საკუთარ კარში, ბევრ ფორვარდს შეშურდებოდა.

„უკვე აღარც მეგონა, რომ მოვიგებდით. პირველი ტაიმი კარგად ჩავატარეთ, მერე ცოტა სიმწვავე გაკლდა, მაგრამ ბოლო 15 წუთში გამოვფხიზლდით და ამ გოლს ნამდვილად ვიმსახურებდით. გულდასაწყვეტი იქნებოდა, რომ ვერ მოგვეგო. მთლიანობაში ბიჭების თამაშით და შემართებით კმაყოფილი ვარ. როცა დელ პიერომ შეცვლა ითხოვა, გადავწყვიტე, ბოჟინოვი შემეშვა. მას დიდი სათამაშო დრო არ ეძლევა და მატჩში მყისვე ჩართვა ადვილი არ იყო. თუმცა ვალერი მშვენივრად გაისარჯა, რაც მახარებს. იგი ძალიან ნიჭიერია, მაგრამ ჯერ ახალგაზრდაა, ბევრი უნდა ისწავლოს და მოთმინება გამოიჩინოს“ — თქვა „იუვეს“ მწვრთნელმა დიდიე დეშანმა.

ტურინელთა ნახევარმცველი პაველ ნედვედი: „რთული მატჩი იყო, რომელიც კარგად ჩავატარეთ. განსაკუთრებით პირველ ტაიმს გამოვარჩევ. ბევრი საგოლე მომენტი გვქონდა და მეტოქეს ვაჯობეთ. მოგება დავიმსახურეთ და ჩვენი თამაშით კმაყოფილი ვარ.“

### ხმები კანავაროზე და ტონიზე

სერია A-ს გზაზე შემდგარ „იუვენტუსს“ უამრავ ფეხბურთელს უკავშირებენ, მათ შორის არიან ფაბიო კანავარო და ლუკა ტონი. თუმცა „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტმა ჯოვანი კობოლი ჯილიმ ამ ტრანსფერებისგან თავი შორს დაიჭირა.

„ერთ-ერთ გაზეთთან ინტერვიუში ვთქვი, რომ ტონი ბრწყინვალე ფეხბურთელი და ადამიანია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ მისი შეძენა ვცადეთ ან ვეცდებით. ლუკა „ფიორენტინაში“ თავს მშვენივრად გრძნობს. რაც შეეხება კანავაროს, მისი დაბრუნება ძალიან არარეალურად მეჩვენება, თუმც, რა თქმა უნდა, ეს არ ცვლის ჩვენს ურთიერთობას. ფაბიოსთვის „იუვეს“ კარი ყოველთვის ღიაა. საერთოდაც, სამომავლო გეგმებზე საუბარი ჯერ ნაადრევია. მჯერა, მომავალ სეზონში სერია A-ში კარგად გამოსვლას შევძლებთ, მაგრამ ჯერ იქ დაბრუნება უნდა გავინაღდოთ“ — თქვა ჯილიმ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნის წინ ტურინულ „ტუტოსპორტთან“ ინტერვიუში კანავარომ, რომელიც მადრიდის „რეალს“ ვერ მოერგო, „იუვენტუსში“ დაბრუნება არ გამორიცხა.

„როცა გავიგე, რომ „იუვეს“ ხელმძღვანელობა და ქომაგები ისევ მელიან, ძალიან მესიამოვნა. ყველაფერი სეზონის ბოლოს გამოჩნდება. თუ მოლაპარაკებას დავიწყებთ და ისე შევთანხმდებით, რომ ორივე მხარე კმაყოფილი იქნება, რატომაც არ უნდა დავბრუნდე?!“ — თქვა „სკუადრა აძურას“ კაპიტანმა.

### გრიგერა, სალიჰამიჯიჩი და კრიშიტო

კანავაროსი და ტონის რა მოგახსენოთ, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ მომავალი სეზონიდან „იუვენტუსში“ ზდენეკ გრიგერა, ჰასან სალიჰამიჯიჩი და დომენიკო კრიშიტო ითამაშებენ. ამ ტრანსფერების გაჩარხვით ტურინელთა სპორტული დირექტორი ალესიო სეკო ძალიან კმაყოფილია.

გრიგერა ბოლო ოთხი წელია, ამსტერდამის „აიაქსში“ თამაშობს და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. მას ჰოლანდიურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება და „იუვენტუსში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის. მხარეებმა წინასწარი შეთანხმება წინა კვირაში გააფორმეს.

„ძალიან კმაყოფილები ვართ გრიგერას [illegible], ეს [illegible], რომ სატრანსფერო ბაზარზე კარგად ვმუშაობთ და ვეცდებით, ასე გავაგრძელოთ. ზდენეკი კარგი და გამოცდილი ფეხბურთელია. იგი ჩეხეთის ნაკრების წევრი და „აიაქსის“ ერთ-ერთი ლიდერია. რასაკვირველია, მომავალზე ზრუნვა და ლაპარაკი კარგია, მაგრამ ხალხმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ჯერ სერია A-ს საგზური გვაქვს გასანაღდებელი“ — აღნიშნა ყოფილმა ჟურნალისტმა სეკომ.

მიუნხენის „ბაიერნიდან“ „იუვეში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადადის სალიჰამიჯიჩიც. რაც შეეხება კრიშიტოს, რომელიც იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მცველად ითვლება, სანახევროდ ისედაც ტურინელებს ეკუთვნოდა. „ჯენოადან“ მისი კონტრაქტის ბოლომდე გამოსყიდვა „ბებერ ქალბატონს“ დაახლოებით 7,5 მილიონი ევრო დაუჯდა.

ალესიო სეკო: „ჩემპიონთა ლიგაში „რეალ“ — „ბაიერნის“ შეხვედრაში. სალიჰამიჯიჩმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის მოთამაშეა. იგი წაგებას ვერ ეგუება, რაც ძალიან გვახარებს. სწორედ ასეთი დაგეშილი და მოტივირებული ფეხბურთელები გვჭირდება. კრიშიტოზე კი დიდ იმედს ვამყარებთ. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა იგი დაგვებრუნებინა. დომენიკო ძალიან ნიჭიერი და პერსპექტიულია.“

**გიორგი ძაძაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 24 | 16 | 7 | 1 | 45:15 | 46 |
| ნაპოლი | 24 | 11 | 11 | 2 | 2816 | 44 |
| პიაჩენცა | 24 | 12 | 5 | 7 | 29:24 | 41 |
| მანტოვა | 24 | 10 | 10 | 4 | 29:17 | 40 |
| ჯენოა | 24 | 11 | 6 | 7 | 36:31 | 39 |
| რიმინი | 24 | 10 | 8 | 6 | 36:24 | 38 |
| ბოლონია | 24 | 11 | 5 | 8 | 25:21 | 38 |
| ალბინოლეფე | 24 | 7 | 14 | 3 | 25:19 | 35 |
| ჩეზენა | 25 | 9 | 8 | 8 | 34:34 | 35 |
| ტრევიზო | 24 | 8 | 9 | 7 | 30:26 | 33 |
| ფროზინონე | 24 | 8 | 9 | 7 | 26:26 | 33 |
| ბრეშა | 24 | 7 | 9 | 8 | 23:26 | 30 |
| ბარი | 24 | 7 | 8 | 9 | 21:22 | 29 |
| ტრიესტინა | 24 | 7 | 9 | 8 | 1823 | 29 |
| ვიჩენცა | 24 | 7 | 7 | 10 | 28:26 | 28 |
| სპეცია | 25 | 5 | 11 | 9 | 25:32 | 26 |
| ლეჩე | 24 | 7 | 5 | 12 | 29:38 | 26 |
| კროტონე | 24 | 4 | 10 | 10 | 19:34 | 22 |
| მოდენა | 24 | 5 | 6 | 13 | 12:25 | 21 |
| ვერონა | 24 | 4 | 7 | 13 | 10:24 | 19 |
| პესკარა | 24 | 4 | 8 | 12 | 20:38 | 19 |
| არეცო | 24 | 4 | 10 | 10 | 19:26 | 16 |

*ტრიესტინას დაკლებული აქვს 1 ქულა, პესკარას 1 ქულა, არეცოს 6 ქულა, იუვენტუსს 9 ქულა*



ვალერი ბოჟინოვის (№9) აქტიურობამ „იუვენტუსი“ ცხრილის თავში დააბრუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 16:45 | 1 | ლივერპული-მანჩესტერი | 2.65 | 3.00 | 2.65 | 1.40 | 1.32 | 1.40 |
| 19:00 | 2 | არსენალი-რედინგი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 19:00 | 3 | ფულემი-ასტონ ვილა | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 4 | სიტი-უიგანი | 2.00 | 3.20 | 3.70 | 1.23 | 1.29 | 1.71 |
| 19:00 | 5 | ნიუკასლი-მიდლსბრო | 2.05 | 3.20 | 3.55 | 1.24 | 1.29 | 1.68 |
| 19:00 | 6 | შეფილდი-ევერტონი | 2.65 | 3.10 | 2.60 | 1.42 | 1.31 | 1.41 |
| 19:00 | 7 | უოტფორდი-ჩარლტონი | 2.45 | 3.10 | 2.80 | 1.36 | 1.30 | 1.47 |
| 21:15 | 8 | პორტსმუთი-ჩელსი | 4.80 | 3.40 | 1.65 | 1.99 | 1.22 | 1.11 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 17:35 | 10 | ბოლტონი-ბლექბერნი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:00 | 11 | ვესტ ჰემი-ტოტენჰემი | 3.10 | 3.10 | 2.30 | 1.54 | 1.32 | 1.32 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 14 | დერბი-კოლჩესტერი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 15 | ბარნსლი-ნორვიჩი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 19:00 | 16 | ბარნლი-კრისტალ პალასი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:00 | 17 | ქოვენთრი-ჰალი | 1.90 | 3.30 | 3.85 | 1.20 | 1.27 | 1.77 |
| 19:00 | 18 | იფსვიჩი-ქპრ | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 19:00 | 19 | ლიდსი-უენსდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 19:00 | 20 | ლუტონი-ვულვერჰემპტონი | 2.65 | 3.20 | 2.45 | 1.44 | 1.27 | 1.38 |
| 19:00 | 21 | პლიმუთი-სტოკი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 22 | საუთენდი-ლესტერი | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 19:00 | 23 | ვესტ ბრომვიჩი-სანდერლენდი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 15:30 | 24 | ბირმინგემი-კარდიფი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | 5 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 25 | პრესტონი-საუთჰემპტონი | 2.25 | 3.20 | 3.00 | 1.32 | 1.28 | 1.54 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 28 | ტრანმერი-ჩესტერფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 29 | ბორნმუთი-დონკასტერი | 2.45 | 3.20 | 2.60 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 19:00 | 30 | ბრენტფორდი-სკანთორპი | 3.10 | 3.20 | 2.10 | 1.57 | 1.25 | 1.26 |
| 19:00 | 31 | ბრისტოლი-ნორთჰემპტონი | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| 19:00 | 32 | კარლაილი-ოლდემი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 33 | ქრიუ-ბრაიტონი | 1.95 | 3.40 | 3.50 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-ბლეკპული | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:00 | 35 | მილუოლი-ჩელტენემი | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 19:00 | 36 | ნოტინგემი-ჰადერსფილდი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 19:00 | 37 | პორტ ვეილი-იოვილი | 2.60 | 3.20 | 2.45 | 1.43 | 1.26 | 1.38 |
| 19:00 | 38 | როტერჰემი-ბრედფორდი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 39 | სუონსი-ლეიტონი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 40 | ჩესტერი-ტორკი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 41 | შრიუსბერი-როვერსი | 1.90 | 3.20 | 3.75 | 1.19 | 1.26 | 1.72 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 42 | ბარნეტი-რექსემი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 43 | დარლინგტონი-უოლსოლი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 44 | გრიმსბი-ბერი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 19:00 | 45 | ჰარტლპული-ჰერეფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 46 | ლინკოლნი-მენსფილდი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| 19:00 | 47 | დონსი-ბოსტონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 19:00 | 48 | პიტერბრო-ნოტსი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 19:00 | 49 | როჩდეილი-აკრინგტონი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 19:00 | 50 | სტოკპორტი-სუინდონი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 51 | უიკომბი-მაკლსფილდი | 1.75 | 3.20 | 4.20 | 1.13 | 1.23 | 1.81 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 23:30 | 91 | შალკე-ჰამბურგი | 1.90 | 3.20 | 4.00 | 1.19 | 1.28 | 1.77 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 18:30 | 93 | არმინია-ნიურნბერგი | 3.20 | 3.10 | 2.20 | 1.57 | 1.30 | 1.28 |
| 18:30 | 94 | ჰერტა-ბაიერნი | 3.10 | 3.20 | 2.20 | 1.57 | 1.28 | 1.30 |
| 18:30 | 95 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 18:30 | 97 | ვერდერი-ბოხუმი | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| 18:30 | 99 | ვოლფსბურგი-გლადბახი | 1.90 | 3.20 | 3.85 | 1.19 | 1.27 | 1.74 |
| 18:00 | 461 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.40 | 3.10 | 2.80 | 1.35 | 1.29 | 1.47 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 20:00 | 101 | ალემანია-მაინცი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |
| 20:00 | 102 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1.60 | 3.50 | 5.70 | 1.09 | 1.24 | 2.16 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ.)** | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 113 | ვერდერი(მ)-ლევერკუზენი(მ) | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 20:45 | 137 | სტ.გალენი-ლუცერნი | 1.55 | 3.50 | 5.70 | 1.07 | 1.21 | 2.16 |
| 20:45 | 138 | იანგ ბოიზი-სიონი | 1.80 | 3.30 | 4.00 | 1.16 | 1.24 | 1.80 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 139 | აარაუ-თუნი | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 140 | გრასჰოპერი-ბაზელი | 2.45 | 3.10 | 2.70 | 1.36 | 1.28 | 1.44 |
| 19:00 | 141 | შაფჰაუზენი-ციურიხი | 4.40 | 3.50 | 1.70 | 1.94 | 1.22 | 1.14 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 18:00 | 151 | ასკოლი-პარმა | 2.40 | 2.90 | 3.10 | 1.31 | 1.35 | 1.49 |
| 18:00 | 152 | კიევო-რომა | 4.00 | 3.10 | 1.95 | 1.74 | 1.31 | 1.19 |
| 18:00 | 154 | ემპოლი-მესინა | 1.65 | 3.20 | 5.70 | 1.08 | 1.27 | 2.04 |
| 18:00 | 155 | ემპოლი-მესინა 0:1 | 2.70 | 3.30 | 2.15 | | | |
| 23:30 | 156 | ინტერი-უდინეზე | 1.30 | 4.70 | 9.00 | 1.01 | 1.13 | 3.08 |
| 23:30 | 157 | ინტერი-უდინეზე 0:1 | 1.85 | 3.30 | 3.10 | | | |
| 18:00 | 158 | ლაციო-კატანია | 1.50 | 3.50 | 7.50 | 1.04 | 1.25 | 2.38 |
| 18:00 | 159 | პალერმო-მილანი | 3.20 | 2.90 | 2.35 | 1.52 | 1.35 | 1.29 |
| 18:00 | 160 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.30 | 3.00 | 2.25 | 1.57 | 1.33 | 1.28 |
| 18:00 | 161 | სამპდორია-ატალანტა | 2.20 | 2.90 | 3.45 | 1.25 | 1.34 | 1.57 |
| 18:00 | 162 | სიენა-ლივორნო | 2.25 | 2.80 | 3.50 | 1.24 | 1.36 | 1.55 |
| 18:00 | 163 | ტორინო-კალიარი | 2.25 | 2.80 | 3.50 | 1.24 | 1.36 | 1.55 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 216 | სევილია-ბარსელონა | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:00 | 217 | ვალენსია-სელტა | 1.32 | 4.50 | 9.00 | 1.02 | 1.15 | 3.00 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 208 | ბილბაო-ტარაგონა | 1.75 | 3.20 | 4.70 | 1.13 | 1.27 | 1.90 |
| 21:00 | 209 | ესპანიოლი-ვილიარეალი | 2.10 | 3.20 | 3.35 | 1.26 | 1.29 | 1.63 |
| 21:00 | 210 | დეპორტივო-ბეტისი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 21:00 | 211 | მალიორკა-ლევანტე | 1.95 | 3.20 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.73 |
| 22:00 | 212 | რეალი-ხეტაფე | 1.60 | 3.40 | 5.70 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 23:45 | 214 | უელვა-ატლეტიკო | 2.60 | 3.20 | 2.60 | 1.43 | 1.29 | 1.43 |
| 21:00 | 215 | რასინგი-ოსასუნა | 2.20 | 3.20 | 3.20 | 1.30 | 1.30 | 1.60 |
| 21:00 | 219 | სარაგოსა-სოსიედადი | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 233 | ოსერი-რენი | 2.30 | 3.00 | 3.20 | 1.30 | 1.33 | 1.54 |
| 23:00 | 234 | ლილი-ტრუა | 1.50 | 3.50 | 7.20 | 1.04 | 1.24 | 2.35 |
| 23:00 | 236 | ლორიანი-ნიცა | 2.45 | 2.90 | 3.00 | 1.32 | 1.34 | 1.47 |
| 23:00 | 238 | მონაკო-ბორდო | 2.40 | 3.00 | 3.00 | 1.33 | 1.33 | 1.50 |
| 23:00 | 239 | ნანსი-ლე მანი | 2.20 | 2.90 | 3.40 | 1.25 | 1.33 | 1.56 |
| 23:00 | 240 | სედანი-პსჟ | 3.10 | 2.90 | 2.40 | 1.49 | 1.35 | 1.31 |
| 23:00 | 241 | ვალენსიენი-ტულუზი | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| | | 4 მარტი | | | | | | |
| 21:00 | 243 | სოშო-ნანტი | 1.80 | 3.10 | 4.70 | 1.13 | 1.30 | 1.86 |
| 23:45 | 244 | მარსელი-ლანსი | 2.30 | 3.00 | 3.15 | 1.30 | 1.32 | 1.53 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 379 | ანტოფაგასტა-ევერტონი | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 23:45 | 381 | კოლო კოლო-უნ.ესპანიოლა | 1.40 | 3.70 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.42 |
| 23:45 | 383 | სერენა-ჰიგინსი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:45 | 385 | ნუბლენსე-უნ.კატოლიკა | 3.30 | 3.20 | 1.95 | 1.62 | 1.22 | 1.21 |
| 23:45 | 386 | პალესტინო-უაჩიპატო | 2.40 | 3.10 | 2.60 | 1.35 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 387 | პუერტო მონტი-უ.კონსეპსიონი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| 23:45 | 388 | უონდერერსი-კოკიმბო | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 382 | დ.კონსეპსიონი-უნ.ჩილე | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| | | გერმანია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 414 | შტუტგარტი-პერტა | 1.75 | 3.20 | 4.50 | 1.13 | 1.25 | 1.87 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 740 | მოზერუელი-სტ ჯონსტონი | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:00 | 416 | ბეტისი-სევილია | 2.55 | 3.10 | 2.55 | 1.39 | 1.27 | 1.39 |
| 23:00 | 417 | ოსასუნა-ხეტაფე | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:00 | 418 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 23:45 | 419 | სარაგოსა-ბარსელონა | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:15 | 422 | მონსიუ-ლანსი | 9.50 | 4.00 | 1.32 | 2.81 | 1.15 | 1.00 |
| 23:45 | 423 | სოშო-პსჟ | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 424 | ბრიუგე-კორტრაიკი | 1.20 | 5.50 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.54 |
| 23:30 | 425 | გენტი-მეხელენი | 1.34 | 4.40 | 7.50 | 1.02 | 1.13 | 2.77 |
| 23:30 | 426 | ანტვერპენი-სტანდარდი | 4.40 | 3.30 | 1.70 | 1.88 | 1.22 | 1.12 |
| 23:45 | 427 | გენკი-ანდერლეხტი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 428 | ვალვაიკი-როდა | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |
| 23:00 | 429 | უტრეხტი-ალკმაარი | 3.30 | 3.40 | 1.95 | 1.67 | 1.22 | 1.23 |
| 23:45 | 430 | ბრედა-პსვ | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 23:45 | 431 | ტილბურგი-აიაქსი | 5.70 | 3.70 | 1.50 | 2.24 | 1.18 | 1.06 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 18:30 | 471 | ბრაგანსა-ბელენენსეში | 6.50 | 3.80 | 1.45 | 2.39 | 1.18 | 1.04 |
| 19:00 | 472 | ბეირა მარი-ბოავიშტა | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 23:45 | 473 | სპორტინგი-აკადემიკა | 1.32 | 4.50 | 8.00 | 1.02 | 1.13 | 2.88 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 432 | პანათინაიკოსი-ქსანთი | 1.32 | 4.20 | 7.50 | 1.00 | 1.12 | 2.69 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 19:00 | 434 | გაზიანთეფი-ტრაბზონი | 2.70 | 3.10 | 2.50 | 1.44 | 1.29 | 1.38 |
| 22:00 | 435 | მანისა-ბეშიქთაში | 2.85 | 3.10 | 2.25 | 1.48 | 1.25 | 1.30 |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 436 | გენჩლერბირლიგი-ფენერბაჰჩე | 3.60 | 3.30 | 1.85 | 1.72 | 1.22 | 1.18 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 455 | ინტერნასიონალი-ემელეკი | 1.20 | 5.20 | 10.50 | 1.00 | 1.07 | 3.47 |
| 23:45 | 456 | სან პაულუ-ალიანზა ლიმა | 1.15 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.04 | 4.00 |
| 23:45 | 457 | ნეკახა-აუდაქსი | 1.30 | 4.30 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.85 |
| | | ინგლისი FA Cup | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 739 | ბლექბერნი-არსენალი | 3.30 | 3.30 | 2.05 | 1.64 | 1.26 | 1.26 |
| | | კალათბურთი. ევროლიგა | | | | | | |
| | | 28 თებერვალი | | | | | | |
| 21:15 | 729 | დინამო-უნიკახა | 1.40 | 12.00 | 2.70 | 1.25 | 1.00 | 2.20 |
| 22:45 | 730 | პროკომი-პანათინაიკოსი | 3.50 | 12.00 | 1.25 | 2.70 | 1.00 | 1.13 |
| 23:45 | 731 | ტაუ-რომა | 1.15 | 12.00 | 4.50 | 1.04 | 1.00 | 3.27 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10151 | ასკოლი-პარმა | 2.85 | 1.90 | 3.55 | 1.13 | 1.58 | 1.23 |
| 10152 | კიევო-რომა | 4.45 | 2.00 | 2.40 | 1.37 | 1.55 | 1.09 |
| 10154 | ემპოლი-მესინა | 2.10 | 2.10 | 5.80 | 1.04 | 1.54 | 1.54 |
| 10156 | ინტერი-უდინეზე | 1.60 | 2.50 | 9.00 | 1.00 | 1.35 | 1.95 |
| 10158 | ლაციო-კატანია | 1.90 | 2.20 | 7.00 | 1.01 | 1.49 | 1.67 |
| 10159 | პალერმო-მილანი | 3.70 | 1.90 | 2.85 | 1.25 | 1.60 | 1.13 |
| 10160 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.80 | 1.90 | 2.85 | 1.26 | 1.62 | 1.13 |
| 10161 | სამპდორია-ატალანტა | 2.70 | 1.90 | 3.90 | 1.11 | 1.59 | 1.27 |
| 10162 | სიენა-ლივორნო | 2.80 | 1.90 | 3.90 | 1.13 | 1.62 | 1.27 |
| 10163 | ტორინო-კალიარი | 2.80 | 1.90 | 3.90 | 1.13 | 1.62 | 1.27 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11151 | ასკოლი-პარმა | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11152 | კიევო-რომა | 5.50 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11154 | ემპოლი-მესინა | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11156 | ინტერი-უდინეზე | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11158 | ლაციო-კატანია | 1.85 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11159 | პალერმო-მილანი | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11160 | რეჯინა-ფიორენტინა | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11161 | სამპდორია-ატალანტა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11162 | სიენა-ლივორნო | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11163 | ტორინო-კალიარი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12151 | ასკოლი-პარმა | 1.60 | 2.00 |
| 12152 | კიევო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 12154 | ემპოლი-მესინა | 1.60 | 2.00 |
| 12156 | ინტერი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 12158 | ლაციო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12159 | პალერმო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12160 | რეჯინა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 12161 | სამპდორია-ატალანტა | 1.60 | 2.00 |
| 12162 | სიენა-ლივორნო | 1.60 | 2.00 |
| 12163 | ტორინო-კალიარი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13151 | ასკოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13152 | კიევო-რომა | 1.70 | 1.90 |
| 13154 | ემპოლი-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13156 | ინტერი-უდინეზე | 1.90 | 1.70 |
| 13158 | ლაციო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13159 | პალერმო-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13160 | რეჯინა-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13161 | სამპდორია-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13162 | სიენა-ლივორნო | 1.70 | 1.90 |
| 13163 | ტორინო-კალიარი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14151 | ასკოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 14152 | კიევო-რომა | 2.20 | 1.70 |
| 14154 | ემპოლი-მესინა | 1.32 | 2.50 |
| 14156 | ინტერი-უდინეზე | 1.05 | 2.90 |
| 14158 | ლაციო-კატანია | 1.20 | 2.60 |
| 14159 | პალერმო-მილანი | 1.95 | 1.85 |
| 14160 | რეჯინა-ფიორენტინა | 1.90 | 1.75 |
| 14161 | სამპდორია-ატალანტა | 1.80 | 2.00 |
| 14162 | სიენა-ლივორნო | 1.80 | 2.00 |
| 14163 | ტორინო-კალიარი | 1.80 | 2.00 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15151 | ასკოლი-პარმა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15152 | კიევო-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15154 | ემპოლი-მესინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15156 | ინტერი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15158 | ლაციო-კატანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15159 | პალერმო-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15160 | რეჯინა-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15161 | სამპდორია-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15162 | სიენა-ლივორნო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15163 | ტორინო-კალიარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16151 | ასკოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 16152 | კიევო-რომა | 2.65 | 1.35 |
| 16154 | ემპოლი-მესინა | 1.15 | 4.20 |
| 16156 | ინტერი-უდინეზე | 1.03 | 7.80 |
| 16158 | ლაციო-კატანია | 1.08 | 5.50 |
| 16159 | პალერმო-მილანი | 2.15 | 1.55 |
| 16160 | რეჯინა-ფიორენტინა | 2.35 | 1.45 |
| 16161 | სამპდორია-ატალანტა | 1.42 | 2.60 |
| 16162 | სიენა-ლივორნო | 1.50 | 2.30 |
| 16163 | ტორინო-კალიარი | 1.50 | 2.30 |

### გოლი: წყვილი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17151 | ასკოლი-პარმა | 1.85 | 1.95 |
| 17152 | კიევო-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ემპოლი-მესინა | 1.85 | 1.95 |
| 17156 | ინტერი-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17158 | ლაციო-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17159 | პალერმო-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | რეჯინა-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17161 | სამპდორია-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17162 | სიენა-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ტორინო-კალიარი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

26 თებერვალი

**დალასი 110:87 ატლანტა**

დალასი: ჰარისი (1), ტერი (21), ჰოვარდი (20), ნოვიცკი (27), დამპიე (9); სტეკჰაუსი (19), კროშერი (7), მენსა-ბონსუ (4), დიოპი (2), ბარეა, აგერი

ატლანტა: კლაქსტონი, ჯ. ჯონსონი (29), მ. უილიამსი (11), სმიტი (4), რაიტი; ფაჩულია (33 წუთი, 24 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი), ჩინდლერი (13), ე. ჯონსონი (2), შ. უილიამსი (2); სტუდემაიერი (2), ჯონსი, აივი

**ნიუ იორკი 99:93 მაიამი**

ნიუ იორკი: კარი (28 ქულა, 11 მოხსნა), მარბერი (25), კროუფორდი (20)

მაიამი: კაპონო (24), ონილი (20), უილიამსი (15)

**სან ანტონიო 107:91 ტორონტო**

სან ანტონიო: პარკერი (27 ქულა, 9 პასი), დანკანი (24 ქულა, 16 მოხსნა, 4 დაფარება), ჰორი (14), ჯინობილი (13)

ტორონტო: ბარნანი (17), ნესტეროვიჩი (16), ბოში (14)

**ჰიუსტონი 72:77 ბოსტონი**

ჰიუსტონი: ველსი (27), ჰოვარდი (12)

ბოსტონი: პირსი (28), ჯეფერსონი (16 ქულა, 17 მოხსნა), ვესტი (16)

**იუტა 94:102 ლეიკერსი**

იუტა: ფიშერი (24), ჰარპრინგი (14), ბუზერი (13)

ლეიკერსი: ბრაიანტი (35), პარკერი (24), ოდომი (19 ქულა, 14 მოხსნა, 9 პასი)

**ფილადელფია 89:82 საკრამენტო**

ფილადელფია: იგუდალა (22 ქულა, 8 მოხსნა, 7 პასი), დალემბერტი (20 ქულა, 17 მოხსნა), მილერი (18)

საკრამენტო: მარტინი (23), მილერი (21 ქულა, 10 მოხსნა), არტესტი (13)

**ჩიკაგო 87:94 ორლანდო**

ჩიკაგო: გორდონი (32), დენგი (23)

ორლანდო: ჰოვარდი (21 ქულა, 16 მოხსნა), ნელსონი (18), ჰილი (16), მილიჩიჩი (14 ქულა, 14 მოხსნა)

**მემფისი 107:111 დენვერი**

მემფისი: გასოლი (21 ქულა, 11 მოხსნა), მილერი (21), გაი (18)

დენვერი: ენტონი (33), ილარიო (27 ქულა, 9 მოხსნა), აივერსონი (25 ქულა, 9 პასი)

**სიეტლი 97:73 პორტლენდი**

სიეტლი: ლუისი (29), ალენი (16 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი)

პორტლენდი: აუთლოო (14)

**კლიპერსი 100:93 შარლოტი**

კლიპერსი: მაგეტი (25), მობლი (16), ბრენდი (14 ქულა, 12 მოხსნა), კასელი (14)

შარლოტი: ვოლესი (20 ქულა, 12 მოხსნა), კეროლი (19), მორისონი (15)

# ისევ რეკორდი!

## ზაზა ფაჩულია ქულას ქულაზე აწებებს




„სან ანტონიოსთან" 23-ქულიანი თამაშის შემდეგ ზაზა ფაჩულიას დიდხანს აღარ უცდია, 5 დღეში „დალასს" 24 ქულა ჩაუკალათა და კიდევ ერთხელ გააუმჯობესა სეზონის პირადი რეკორდი. ფაჩულიამ „დალასს" 12 ორქულიანიდან 7 ჩაუგდო და როგორც ყოველთვის, ახლაც საკმაოდ დამაჯერებელი გახლდათ საჯარიმოს ხაზიდან — 12 ცდიდან 10 გამოიყენა. მისთვის ყველაზე ნაყოფიერი იყო პირველი მეოთხედი, როცა ზაზამ შეცვლაზე შესვლის შემდეგ 9 ქულა და 3 მოხსნა გააკეთა, ქართველ ცენტრს უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს მოუგროვდა 20 ქულამდე და მეოთხეშიც იოლად ასცდა ძველ რეკორდს, 23 ქულას, მაგრამ მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა მალევე გაიყვანა მოედნიდან, თორემ იქნებ მეტიც მოეხვეჭა და ვინ იცის, კარიერაში სარეკორდო 26 ქულისთვისაც შეეტია.

ზაზასთვის ეს კარგი თამაში იყო, მაგრამ მისმა ქულებმა და მოხსნებმა დიდი გავლენა ვერ იქონია მატჩის შედეგზე. ისედაც სუსტი აღმოსავლეთის ქვესაშუალო „ატლანტა" მხოლოდ პირველ მეოთხედში თუ ეჭიდავა მძლავრი დასავლეთისა და ამჟამად მთლიანად ლიგის საუკეთესო გუნდს. „დალასმა" ტაიმი 15 ქულით მოუგო აშკარად მსუბუქწონიან მეტოქეს და მეორეშიც არ მიუცია მისხალი შანსი.

„დალასისთვის" ეს მოგება ზედიზედ მე-12 გახლდათ, შინაურ კედლებში კი — მე-20. ამასთან, „დალასი" ნბა-ს ისტორიაში ერთადერთი გუნდია, რომელმაც ერთ სეზონში სამჯერ მოაწყო ზედიზედ 12 და მეტმოგებიანი სერია. სამსამი 10 და მეტმოგებიანი სერია კი კიდევ სამ გუნდს ჰქონია. სერია სერიად და ამ ციფრებში მშვენივრად ჩანს, რამდენად მძლავრი გუნდია „დალასი" და მის მოედანზე 23-ქულიანი წაგებისთვის „ატლანტა" თავისთავად არავის შეურისხავს.

დირკ ნოვიცკის ახალგაზრდობაში იყო დრო, ოდნავ მოძლიერებული „დალასი" მწვერვალისკენ საფეხურებს რომ მიუყვებოდა და დიდებს ეტოლებოდა. ახლა კი მას სხვა გუნდები ეტოლებიან და უსწორდებიან, მათ შორის, თვით „სან ანტონიოც", ბოლო 8 სეზონში 3-ჯერ გაჩემპიონებული სუპერგუნდი. „დალასმა" აგერ მესამედ გადააბა 12 (ან მეტი) მოგება ერთმანეთს, მეორე დასავლურ ბობოლას „ფინიქსს" სულაც 17-მოგებიანი სერია ჰქონდა, „სან ანტონიომ" კი ამ ორშაბათს „ტორონტოს" რომ მოუგო და მიჯრით მეექვსე გამარჯვება ჩაიწერა, მისთვის სეზონის საუკეთესო სერიაც ესაა. მწვრთნელი გრეგ პოპოვიჩი ამბობს, თუ გვინდა, პლეი ოფში მძლავრად გამოვიდეთ და ამ ორთან რამე შანსი გვქონდეს, ყველა თამაშს და ყველა მეტოქეს ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ და თავს მოდუნების უფლება არ მივცეთო. „ტორონტოსთან" ტეხასელებმა მწვრთნელის შეგონება ყურად იღეს და პირველ ტაიმშივე მოუთავეს ხელი ბოლო ჟამს მოძლიერებულ მეტოქეს, რომელთაც ორი ტანწერწეტა ევროპელი — 2006 წლის დრაფტის პირველი ნომერი, იტალიელი ანდრეა ბარნანი და „სან ანტონიოს" ყოფილი ცენტრი რაშო ნესტეროვიჩი ლიდერობდა.

ამ მძლავრი გუნდების გვერდით წესით და ლოგიკით, ჩემპიონი „მაიამიც" უნდა დაგვეყენებინა, მაგრამ ახლა უკვე გადაჭრით ვიტყვით, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ იბრძოლებს ტიტულის შესანარჩუნებლად. ის კი არა, იქნებ პლეი ოფში მოხვედრაც სანატრელი გაუხდეს.

არ უმართლებთ ფლორიდელებს — შაკილ ონილს ტრავმამ ნახევარი სეზონი გააცდენინა. დევშაკი ახალი მოკეთებული იყო და ახლა მეორე სუპერვარსკვლავი, მატჩში საშუალოდ 29 ქულისა და 7 პასის მკეთებელი დუეინ ვეიდი დაიმტვრა, თან ისე, რომ სეზონის ბოლომდე ან მოჯობინდება, ან — არა.

ვეიდის გარეშე ამ სეზონში „მაიამიმ" 9 მატჩი ჩაატარა და აქედან 7 წააგო. ახლაც არცთუ ძლიერ „ნიუ იორკთან" ჩემპიონებმა მარცხი იგემეს. ის ამბავი დიდად ვერ დაუამებთ გულისტკივილს, რომ შაკილ ონილმა 20 ქულა გააკეთა და ნბა-ს ისტორიაში მე-14 მოთამაშეა, რომელმაც 25 000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა.

**კოტე ყორშია**

## 25 000-იანები

| | | თამაში | რაოდენობა | საშ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ქარიმ აბდულ-ჯაბარი | 1 560 | 38 387 | 24,6 |
| 2 | კარლ მელოუნი | 1 476 | 36 928 | 25,0 |
| 3 | მაიკლ ჯორდანი | 1 072 | 32 292 | 30,1 |
| 4 | უილტ ჩემბერლენი | 1 45 | 31 419 | 30,1 |
| 5 | მოზეს მელოუნი | 1 329 | 27 409 | 20,6 |
| 6 | ელვინ ჰეიესი | 1 303 | 27 313 | 21,0 |
| 7 | ჰაკიმ ოლაჯუონი | 1 238 | 26 946 | 21,8 |
| 8 | ოსკარ რობერტსონი | 1 040 | 26 710 | 25,7 |
| 9 | დომინიკ უილკინსი | 1 074 | 26 670 | 24,8 |
| 10 | ჯონ ჰავლიჩეკი | 1 270 | 26 395 | 20,8 |
| 11 | ალექს ინგლიში | 1 270 | 26 395 | 20,8 |
| 12 | რეჯი მილერი | 1 389 | 25 279 | 18,2 |
| 13 | ჯერი ვესტი | 932 | 25 192 | 27,0 |
| 14 | შაკილ ონილი | 958 | 25 015 | 26,1 |
| 22 | გერი პეიტონი | 1 315 | 21 714 | 16,5 |
| 29 | ალენ აივერსონი | 1 107 | 20 049 | 28,0 |

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | |
| ტორონტო | 31 | 26 | 54,4 |
| ნიუ ჯერსი | 27 | 30 | 47,4 |
| ნიუ იორკი | 26 | 32 | 44,8 |
| ფილადელფია | 19 | 38 | 33,3 |
| ბოსტონი | 14 | 42 | 25,0 |
| **ცენტრალური** | | | |
| დეტროიტი | 36 | 19 | 65,5 |
| კლივლენდი | 32 | 24 | 57,1 |
| ჩიკაგო | 32 | 27 | 54,2 |
| ინდიანა | 29 | 26 | 52,7 |
| მილუოკი | 20 | 37 | 35,1 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | |
| ვაშინგტონი | 31 | 23 | 57,4 |
| ორლანდო | 28 | 30 | 48,3 |
| მაიამი | 27 | 29 | 48,2 |
| შარლოტი | 22 | 35 | 38,6 |
| ატლანტა | 22 | 35 | 38,6 |

NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA NBA

**დასავლეთის კონფერენცია**

| | | | |
|---|---|---|---|
| **სამხრეთ-დასავლეთი** | | | |
| დალასი | 47 | 9 | 83,9 |
| სან ანტონიო | 39 | 18 | 68,4 |
| ჰიუსტონი | 35 | 21 | 62,5 |
| ნიუ ორლეანი | 27 | 29 | 48,2 |
| მემფისი | 15 | 43 | 25,9 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | |
| იუტა | 37 | 19 | 66,1 |
| დენვერი | 27 | 28 | 49,1 |
| მინესოტა | 26 | 30 | 46,4 |
| პორტლენდი | 24 | 34 | 41,4 |
| სიეტლი | 22 | 34 | 39,3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| ფინიქსი | 43 | 13 | 76,8 |
| ლეიკერსი | 33 | 25 | 56,9 |
| კლიპერსი | 27 | 29 | 48,2 |
| გოლდენ სტეიტი | 26 | 31 | 45,6 |
| საკრამენტო | 24 | 32 | 42,9 |

# კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
**ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი)**

**დასავლეთი**
**ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)**



გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად ნბა-მ აღმოსავლეთში „ნიუ ჯერსის" მსროლელ-ფრთა ვინს კარტერი, დასავლეთში კი „ფინიქსის" ცენტრი ამარე სტუდემაიერი დაასახელა.

ორივეს მძლავრი კვირა ჰქონდა. კარტერმა თავის „ნიუ ჯერსის" კვირის სამ თამაშში საშუალოდ 37,3 ქულა, 7,3 მოხსნა, 5,0 პასი მიაშველა და 2 შეხვედრა მოაგებინა, წაგებულ თამაშშიც სეზონში პირადსარეკორდო 46 ქულა მოიხვეჭა.



ამარე სტუდემაიერს კვირის ოთხ თამაშში საშუალოდ 30 ქულა და 12 მოხსნა მოუგროვდა, მისმა „ფინიქსმა" კი ოთხივე მოიგო, ამათგან ერთი ზაზა ფაჩულიას „ატლანტასთან". აქ სტუდემაიერმა 43 ქულა გაახერხა.

კვირის სიმბოლური ხუთეული: სტივ ნეში (ფინიქსი), ვინს კარტერი (ნიუ ჯერსი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)



[illegible] ფოტო

# შერმადინმა ამერიკა ნახა, ახლა ამერიკა ნახავს შერმადინს

2 მარტს „მაკაბის" 216-სანტიმეტრიანი ცენტრი გიორგი შერმადინი ამერიკაში მიემგზავრება, სადაც 8 მარტს „ნაიკის" მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდა ვარსკვლავთა მატჩში მიიღებს მონაწილეობას. ესაა მეტად პრესტიჟული დაპირისპირება, რომელშიც ამერიკის სტუდენტური ლიგისა და მსოფლიოს რჩეული ახალგაზრდები ერკინებიან ერთმანეთს. ამ მატჩში მონაწილე ახალგაზრდათა უმეტესობა ნბა-ში პოულობს ადგილს და წარმატებასაც აღწევს. „ნაიკის" ეგრეთ წოდებულ ოლ სტარში თავის დროზე უთამაშიათ დირკ ნოვიცკის, პეჯა სტოიაკოვიჩს, ტიმ დანკანს და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ვარსკვლავს. შერმადინი უკვე იყო ამერიკაში. ის ნბა-ს ოლ სტარზე ერთ-ერთმა სატრანსფერო სააგენტომ მიიწვია და მასთან საუბარიც ამ გრანდიოზული მოვლენით გამოწვეული შთაბეჭდილებებით დავიწყეთ

— ოლ სტარზე სატრანსფერო კომპანია ჯი-ეი-პიმ მიმიწვია, სადაც ჩემს მწვრთნელ ჯამლეტ ხუხაშვილთან და ერთ ესპანელ აგენტთან ერთად წავედი, რომელიც ამას წინათ საქართველოშიც ჩამოვიდა ჩემს სანახავად.

**— ის ესპანელი მაგ სატრანსფერო სააგენტოში მუშაობს?**

— დიახ და ამერიკაში ყოფნისას სულ ჩვენთან იმყოფებოდა.

**— ამერიკაში მხოლოდ ოლ სტარის საყურებლად იყავი?**

— არა, რა თქმა უნდა. იქ შევხვდი ჯი-ეი-პის პრეზიდენტსა და „ნაიკის" ოლ სტარის ორგანიზატორებს. რამდენჯერმე ინდივიდუალურადაც ვივარჯიშე, რასაც რამდენიმე სკაუტი დაესწრო.

**— „ნაიკის" ოლ სტარზე ვინ მიგიწვია?**

— შარშან ზაფხულს ლიტვაში ნბა-მ გამართა კემპი, რომელზეც არაერთი ვარსკვლავი და სკაუტი იყო ჩამოსული. იქ მნახეს „ნაიკის" წარმომადგენლებმა და ახლახან ხსენებულ მატჩში მიმიწვიეს.

**— თუ არიან ცნობილნი მაგ მატჩის მონაწილეები?**

— ამერიკელების გუნდი სულ სტუდენტური ლიგის წევრებითაა დაკომპლექტებული. იქ არიან ყველაზე გამორჩეული მოთამაშეები, რომელთა სახელები არ ვიცი. ასევეა დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებიც.

**— როდის არის დაგეგმილი „ნაიკის" ოლ სტარი?**

— 7 მარტს ლას ვეგასში გაიმართება. მასში მონაწილენი 2 მარტს ადგილზე უნდა იყვნენ და მატჩისთვის მოემზადონ.

**— ნბა-ს ოლ სტარისგან რა შთაბეჭდილება დაგრჩა?**

— სანამ ოლ სტარს ვუყურებდით, მანამდე ლოს ანჯელესში ჩავედით და „ატლანტას" მატჩს დავესწარით. ზაზა ფაჩულიამ კარგად ითამაშა, ორმაგი დუბლი შეასრულა და თავისიანებს „კლიპერსის" დამარცხებაში ძალიან დაეხმარა. მატჩის შემდეგ გასახდელისკენ ჩავედით და ვნახეთ ზაზა. ჩვენთან ერთად იყო ვლადიმერ სტეფანიაც, რომელიც ჩასვლის დღიდან წამოსვლამდე არ მოგვშორებია.

**— უშუალოდ ოლ სტარზე რას იტყვი?**

— რა უნდა ვთქვა, მოხიბლული დავრჩი. ასეთი აღტაცებული არასდროს ვყოფილვარ. განსაკუთრებით ვაკვირდებოდი ახალბედების ოლ სტარს. ძალიან მომეწონა მეორეწლიანების ცენტრალური თავდამსხმელი დევიდ ლი, რომელიც საბოლოოდ MVP გახდა.

**ირაკლი პერტაია**



# ტატიშვილი ტაქტში ჩაჯდა

ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ტატიშვილმა, რომელმაც წინა კვირაში ნაჩვენები შედეგის წყალობით გვარიანად წინ წაიწია WTA-ს კლასიფიკაციაში, ეს კვირაც მოგებით დაიწყო.

ამჯერად ანა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კაზინოების ქალაქ ლას ვეგასის ჰარდზე თამაშობს ITF-ის საკმაოდ წარმომადგენლობით, 75-ათას დოლარიან ტურნირზე და კვალიფიკაციიდან ცდილობს ძირითად ბადეში მოხვედრას.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ტატიშვილმა 6:1 6:1 გაანადგურა 21 წლისა და რეიტინგში 781-ე ადგილზე მყოფი ბულგარელი ელენა გენჩევა. ქართველის მეორე მეტოქე კორტის მასპინძელი, 24 წლის რეიჩელ კოპს-ჯონსია, ვისაც კლასიფიკაციაში ანაზე მაღალი — 205-ე პოზიცია უჭირავს. ამ ამერიკელმა პირველ წრეში 6:1 4:6 7:5 სძლია საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ ნომერს, ესტონელ მარეტ ანის.

საქართველოს სადევისთასო ნაკრების წევრი ლადო ჩიხლაძე პორტუგალიელებთან თბილისური გამარჯვების შემდეგ პირველად გავა კორტზე. ლადო შვეიცარიაში, ლოგერნის ჭერქვეშ ხალიჩაზე, აგრეთვე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით მიმდინარე ტურნირზე თამაშობს და მე-7 ნომრადაა განთესილი.

პირველ წრეში ჩვენებურის მეტოქე ავსტრიელი არმინ სანდბიხლერი იქნება, ვისაც ATP-ის რეიტინგში 554-ე პოზიცია უჭირავს.



# ფედერერი უხეიროდ ხეიროზს

**როჯერ ფედერერის** დამარცხება მაშინაც თითქმის შეუძლებელია, იშტაზე რომ ვერ არის და თამაში არ მისდის. ასე იყო დუბაის ტურნირის პირველ წრეში, სადაც შვეიცარიელს დანიელი კრისტიან პლესის მაგივრად საკუთარ თავთან უფრო მოუწია ჭიდილმა. თუმც გენიალურმა ალპელმა ამ ამოცანასაც წარმატებით გაართვა თავი — პირველი სეტის ტაიბრეიკში არცთუ დამაჯერებლად მოგების და მთლიანად ჩაგდებული მეორეს შემდეგ (3:6 დათმო) კონცენტრირება შეძლო და მეორე წრეში მაინც გავიდა.



AFP ფუბპიდან

„დუბაისთვის ტიპური დასაწყისი იყო. აქ სულ ასე ვწვალობ პირველ შეხვედრაში — კორტი ძალიან სწრაფია, რის გამოც გრძელი გათამაშებები თითქმის არ არის. ამასთან შეგუებაც ძნელია, თან თითქმის ერთი თვე არ მეთამაშა და ამიტომაც ვიწვალე ამდენი" — განაცხადა ნამატჩევს „მხიარულმა როჯერმა", რომელმაც ზედიზედ 37-ე შეხვედრა მოიგო, რაც გამარჯვებების ყველაზე ხანგრძლივი სერიაა მის კარიერაში. ბოლოს კი ალპელმა შარშან აგვისტოში, ცინცინატის მასტერსის მეორე წრეში წააგო ენდი მიურეისთან.

დუბაის უკვე ორი განთესილი დაემშვიდობა, თან ორივე ესპანელი — ჰარდზე თამაშის მოძულე ტომი რობრედო (№4) და დავიდ ფერერი (№8) სახლში გაემგზავრებიან და დაისვენებენ. პირველმა ფრანგ ვეტერან ფაბრის სანტოროსთან წააგო, რომლის ჩახალრთულ თამაშს რობრედომ ვერაფერი დაუპირისპირა. ფერერი კი წლეულს საკმაოდ სტაბილურად მოთამაშე შვედმა რობინ სოდერლინგმა დაჩაგრა.

აზიაში კაცთა მეზობლად, კერძოდ, ყატარის დედაქალაქ დოჰაში მოიყარა თავი ქალთა ელიტამ. ოლონდ ეგაა, რომ აქ პირველ წრეში თამაში არ მოუწიათ ბობოლებს, რომელბიც კორტებზე დღეიდან გავლენ. უკვე გამართული მატჩებიდან კი გამოვარჩიოთ დანიელა ჰანტუხოვას გამარჯვება, რომელმაც კოლუმბიელი კატალინა კასტანო არ დაინდო და სასტიკად გაუსწორდა — 6:1 6:0.

**ბახა ლომაშვილი**



# ტაპია ღლაპი აღარაა
## რინგიდან ჩამოსვლის დრო მოუვიდა

**დიდი კრივიდან** გამარჯვებით წავიდა სამ სხვადასხვა წონაში ექსჩემპიონი და კრივის საერთაშორისო დიდების დარბაზის მომავალი წევრი ამერიკელი ჯონი ტაპია.

შეგახსენებთ, რომ ტაპიამ თავისი ბოლო ბრძოლა 2005 წლის სექტემბერში ნოკაუტით წააგო მთლად უცნობ, მექსიკელ სანდრო მარკოსთან, მაგრამ უკვე ლეგენდად ქცეულმა ამერიკელმა ასე უსახელოდ წასვლა არ ისურვა, კიდევ ერთხელ გადაწყვიტა მუშტის გაქნევა და უკანსაკნელი ბრძოლის გამართვა ნიუ მექსიკოს შტატში, მშობლიურ ქალაქ ალბუკერკეში ისურვა.

რინგზე თითქმის წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ გასულმა ტაპიამ 10-რაუნდიანი ბრძოლა გამართა კიდევ ერთ მექსიკელ ევარისტო პრიმიეროსთან. 40 წლის ამერიკელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მშვენივარდ იჩხუბა, 10-ვე რაუნდი გაძლო და ქულებით იმარჯვა — ორმა მსაჯმა ტაპიას მიაკუთვნა გამარჯვება (98:92 და 96:94), მესამემ კი ფრე დააფიქსირა (95:95).

**ბახა ლომაშვილი**



ჯონი ტაპიამ კარიერა ევარისტო პრიმიეროს გალახვით დაასრულა

ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

ის მსოფლიოში ყველაზე მაღალი ძიუდოისტია, ოღონდ არა ყველაზე მძიმე. მაგრამ გაჭირვება და ტკივილი იმდენი შეხვედრია, მთაკაცს კი არა, მთას დაანგრევდა. 205-სანტიმეტრიან და 150-კილოგრამიან ზვიად ხანჯალიაშვილს სპორტულმა ცხოვრებამ ოთხი წლის წინ ისეთი განსაცდელი არგუნა, რომ მისი ჭიდაობა იქ, ჰამბურგის ტატამზე უნდა დასრულებულიყო. არადა, მხოლოდ 20 წლის იყო. ბევრს არც სჯეროდა, რომ ძიუდოს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამ გოლიათს მართლაც გოლიათური მონდომება და შემართება აღმოაჩნდა.

ოთარ მალლაკელიძე

# ზვიად ხანჯალიაშვილი: ბევრი ადლი და ღვთის მადლი

## კაცი რომ მუხლს შემოიტრიალებს, ბედსაც შემოატრიალებს



**ძიუდოს** გარდა არც ერთ სახეობაზე არ მივლია. თელავში დიდი არჩევანი არც მქონდა. ტანით ბავშვობიდანვე გამოვირჩეოდი და რვა წლის რომ გავხდი, მამაჩემმა აიჩემა, ძიუდოში ვარჯიში უნდა დაგაწყებინოო. გივი ფოთოლაშვილთან მიმიყვანა. მახსოვს, კარგა ხანს არ მსიამოვნებდა ძიუდოზე სიარული: ჩემი ასაკის ბავშვებზე ერთი თავით მაღალი ვიყავი, წონაც არ მაკლდა, მაგრამ მაინც მჯობნიდნენ. მუხლები სულ დალილავებული მქონდა. პირველი სტიმული სწორედ მათთან ჭიდაობამ მომცა. მინდოდა, ყველასთვის გადამეხადა სამაგიერო. ეს მალევე შევძელი. პირველ წარმატებას კი 16 წლისამ მივაღწიე. საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში მესამე ადგილზე გავედი. ამ შედეგმა ინტერესი გამიორმაგა, თან შოთა ხაბარელისგან თბილისში სავარჯიშოდ გადმოსვლის შემოთავაზებაც მივიღე.

ვაკის დარბაზში ვვარჯიშობდი და იქვე ვცხოვრობდი. ჭაბუკებში საქართველოს ჩემპიონობას თურქეთის საერთაშორისო ტურნირის ოქრო და ახალგაზრდული ოლიმპიადის ვერცხლი მოჰყვა. ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატიც მოვიგე და ძირითად ნაკრებში ასე მოვხვდი. 2004 წლამდე უფროსებშიც მოვასწარი ევროპირველობასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობა, თუმცა უშედეგოდ, მერე კი...

2004 წლის თებერვალში ჰამბურგის საერთაშორისო ტურნირზე ვჭიდაობდი. ოლიმპიადის წელი იყო და სალიცენზიო ქულებისთვის ვჭიდაობდით. საკმარისი რაოდენობა თითქმის დაგროვებული მქონდა, თან წინ რამდენიმე ტურნირიც მელოდა, მოკლედ, უკვე ათენზე ვფიქრობდი.

ნახევარფინალამდე უპრობლემოდ მივედი, იქ კი გერმანელ ანდრეას ტოლცერს ვხვდებოდი. ვაზარის ქულებდი და სირენამდე 9 წამი რჩებოდა. უცებ რაღაც უცნაური მოძრაობა გააკეთა და წინ გაშლილ მარჯვენა მუხლზე დამაჯდა. ეს არ იყო ილეთი, ისეთ პოზიციაში იყო, მე კი არა, ჭიდაობის არმცოდნე კაცსაც ვერ წააქცევდა. არიან სპორტსმენები, რომლებიც გამარჯვების სანაცვლოდ ყველაფერს კადრულობენ, მაგრამ მაინც არ მინდა დავიჯერო, რომ ტოლცერმა შეგნებულად დამაშავა.

უსაშინლესი ტკივილი ვიგრძენი, წაქცეულმა ფეხს რომ დავხედე, თვალები გამიფართოვდა. მუხლი უკუღმა მქონდა შეტრიალებული. ჩემით გავისწორე, მაგრამ ისე მეტკინა, კინაღამ გავგიჟდი. კიმონოს შარვალი ფართოა, მაგრამ წამებში ფეხი ისე გამისივდა, ველარ ვიხდიდი. ასეთ დროს ტრავმის მიმყენებელს ტურნირიდან მოკვეთით სჯიან. გერმანელს კი გაფრთხილებაც არ მისცეს. თუმცა ამას ჩემთვის არარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ვხვდებოდი, რომ იმ მწარე წუთებში ოლიმპიური ოცნებაც დასრულდა, მაგრამ მაინც ხავსს ვეჭიდებოდი და ჩვენებს იქით ვაიმედებდი. საქართველოს ნაკრები ჰამბურგში კიდევ ხუთი დღე დარჩა ერთობლივ ვარჯიშებზე. მე კი მთელი ეს დრო სასტუმროში ვიწექი. ტკივილი იმდენად აღარ მაწუხებდა, მაგრამ ფეხი ისე იყო გასიებული, შეხედვა არ მინდოდა. იატაკის საწმენდი ჯოხი ავილე და ნომერში იმით ვმოძრაობდი. ერთი-ორჯერ ვარჯიშზეც მივედი, მაგრამ ეს იმხელა ტკივილის ფასად დამიჯდა, მეტი აღარ მიცდია. დაწოლილი ფეხს საერთოდ ველარ ვგრძნობდი.

საქართველოში რომ დავბრუნდი, წნორში ექიმბაშთან მივედი. მალამოებით მკურნალობდა და შესიებაც ნელ-ნელა ჩაცხრა. მერე თბილისში ჩამოვედი გამოსაკვლევად. პირველი გაშუქების მერე მითხრეს, წვივის ძვლის მცირე მოტეხილობა გაქვსო. ვგრძნობდი, რომ ასე იოლად არ იყო საქმე, მაგრამ მაინც დავიჯერე, რადგან ძალიან მინდოდა, ასე ყოფილიყო. მეორე გამოკვლევამ სიმართლე გაარკვია, გაცილებით მძიმე დიაგნოზი დამისვეს. მუხლი, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა და პირდაპირ მითხრეს, რომ სპორტში დაბრუნების შანსი თითქმის აღარ მქონდა. საიმედო აღარაფერი იყო, თუმცა მაინც ჯიუტად მჯეროდა, რომ რაღაც მეშველებოდა. ყველაზე მეტად სხვების უიმედობა მაგიჟებდა. ხმები მომდიოდა და ურთიერთობაც მაგრძნობინებდა, რომ სპორტში ჩემ დაბრუნებაზე ხელი უკვე ჩაქნეული ჰქონდათ. რომ იტყვიან, ცოცხალი გამომიტირეს. ყავარჯნებით დავდიოდი. რამდენჯერ მომხდარა, მეტროში მოხუც ქალს დაუთმია ადგილი. ეს ჩემთვის იმხელა დარტყმა იყო, გული მისკდებოდა.

...როგორც იქნა, ყავარჯნები გადავაგდე. სასიარულოდ ჯოხიც აღარ მჭირდებოდა. ეგ იყო, ტატამზე დაბრუნების არანაირი პერსპექტივა აღარ ჩანდა. მკურნალობაც კი შევწყვიტე, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე იმედი გამიჩნდა. ოლიმპიური ნაკრების ექიმმა ზურაბ კახაბრიშვილმა საქვეყნოდ ცნობილ პროფესორ ალბერტ გიუზბახერს დაურეკა. ის დაგვპირდა, რომ თავად გამიკეთებდა ოპერაციას.

საოპერაციო მაგიდამდე ახალი პრობლემა შემექმნა. გერმანიაში წასასვლელად ფინანსების გამოძებნა



გაჭირდა. ოთხი ათას ევროზე მეტი მჭირდებოდა, თანაც გზის ხარჯები. სახლში რაც შეგვეძლო, გავყიდეთ, თელავის მერიაც წამეხმარა. ხელი აწ გარდაცვლილმა ნოდარ საქუაშვილმა და ივა მოსეშვილმაც გამიმართეს, ბილეთები კი შოთა ხაბარელმა მიყიდა.

იმედით კი მივდიოდი, მაგრამ რეალურ იმედს თავად გიუზბახერიც ვერ მაძლევდა. მე კი მჯეროდა, რახან საქმეს ხელი მოჰკიდა, ბოლომდე მიიყვანდა. თვითმფრინავში კლასელი დამემგზავრა. ბედად, ისიც იმ ქალაქში მოდიოდა, სადაც მე და რამდენიმე საათში პირდაპირ კლინიკაში მიმიყვანა.

გიუზბახერი მეორე დღეს, დილით მოვიდა. ტრავმირებულ ფეხს დახედა და პირდაპირ თქვა, სიტუაცია ბევრად უფრო მძიმეა, ვიდრე მეგონაო. ოპერაცია მესამე დღეს გამიკეთა, ოღონდ წინასწარ დაგეგმილი საათნახევრის ნაცვლად ხუთი საათი დასჭირდა. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გერმანელმა ექიმმა თავის წილად კაპიკიც არ აიღო.

კლინიკაში ერთი დღე დავრჩი. მერე კი ექიმის ნებართვით იქ მცხოვრებ ნათესავებთან გადავედი. ოთხი დღე იქ ვიწექი. ეს პერიოდიც რომ კლინიკაში გამეტარებინა, ხარჯებს 2400 ევრო დაემატებოდა. ოთხ დღეში გიუზბახერმა დრენაჟი ამოიღო და დამაიმედა, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ახლა შენ იცი, თავს როგორ მიხედავო. თვენახევარი ყინულის საფენები დამინიშნა. სახლში, თელავის რაიონის სოფელ რუისპირში ჩავედი და იქ ვასრულებდი მის დანიშნულებას. უშუქობის გამო შვიდი კილომეტრიდან მოგვქონდა ყინული.

ორ თვეში ფეხზე დავდექი და თბილისში წამოვედი. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ ფეხს ბოლომდე მაინც ვერ ვშლიდი. როგორ არ ეცადნენ, მაგრამ ვერაფრით გამაშლევინეს. გაჩნდა ეჭვი, რომ კაპილარის ბრალი იყო და ვარჯიში მიშლიდა. საქმეში ისევ გიუზბახერი ჩაერია. 2005 წლის დასაწყისში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე იყო ჩამოსული. ჩემი ტრავმითაც დაინტერესდა და რომ ნახა, თქვა, ისევ საოპერაციოა, ცუდად არის შეხორცებულიო. თბილისშივე აპირებდა მეორე ოპერაციის ჩატარებას, მაგრამ მხოლოდ ერთი დღე ჰქონდა. ის დღე კი კვირა იყო და აქაურ კლინიკაში არ შეგვიშვეს.

მეორე ოპერაცია ჰამბურგული ტურნირის პარალელურად გავიკეთე, ამჯერად მხოლოდ ორსაათიანი და გიუზბახერისგან დამაიმედებელი პასუხიც მივიღე — სარეაბილიტაციო პერიოდის შემდეგ ტატამზე დაბრუნებას შევძლებდი!

ფეხი მომენტალურად გავშალე და მერე კარგა ხანს საერთოდ აღარ ვხრიდი. მეშინოდა, სანამ შეხორცდებოდა, კიდევ რაიმე პრობლემას არ ეჩინა თავი. სარეაბილიტაციო პერიოდი თეა ადამიასთან და გიორგი ლომიძესთან გავიარე. 2005 წლის ბოლოს კი ნელ-ნელა ვარჯიშიც დავიწყე. მალე ხაბარელმა შეკრებაზეც წამიყვანა. სხვებივით ვერ ვიტვირთებოდი, მაგრამ მონდომება ალბათ ყველაზე მეტი მქონდა.

შემართებამ შედეგი საოცრად სწრაფად მოიტანა. პარიზის მსოფლიოს სუპერთასზე ორწლიანი დასვენების შემდეგ ისევ მოვირგე კიმონო. ყველაზე მეტად მაშინ ის მაინტერესებდა, ტრავმის გამო რამდენი დავკარგე და იმ პერიოდში სხვებმა როგორ მოუმატეს. ზოგიერთებმა მიცნეს, ბევრისთვის კი უცხო სახე ვიყავი. ნახევარფინალში სამგზის მსოფლიოს ჩემპიონს, რუს ალექსანდრ მიხაილინს შევხვდი. ფავორიტი ის იყო, მაგრამ მოვუგე. ერთი გენახათ, როგორ აგონიაში ჩავარდა. მეწყინა, ნუთუ ისე სუსტი ვარ, რომ ჩემი ძლევა სენსაციად ჩამეთვლება-მეთქი. პარიზის შემდეგ ყველაზე დასამახსოვრებელი გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი იყო. კორეას ვხვდებოდით და ფინალისტის ბედი ჩემს შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. პირადი მსოფლიოს ჩემპიონატი რომ ყოფილიყო, ასე თავდაჯერებული ვერ ვიქნებოდი. ბიჭების ანთებულ სახეებს რომ გავხედე, ისეთი ძალა მომეცა, კორეელი კი არა, ყველა მძიმეწონოსანი ერთად ვერ დამიდგებოდა. აქვე ერთი მიღწევაც ავისრულე, რომელიც ტრავმამდეც სანატრელი მქონდა — ქართულ ჭიდაობაში არასოდეს ვბრწყინავდი, შარშან კი ფალავანი გავხდი.

ეს ორწლიანი ხათაბალა რომ არა, მაინც ვიტყვი, რომ მთელი ცხოვრება ტრავმებში გავატარე. რა აღარ მაწუხებდა — მუხლის, წელის, მხრის თუ ხელის ტკივილის გამო ძალიან ბევრი დავკარგე. ღვთის მადლით, ამჟამად ყველაფერი რიგზეა და იმედია, ასეც იქნება. მთავარია, ჯანმრთელად ვიყო და მოვიგებ თუ ვერა, ეგ უკვე ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**დასასრულ ორი ცალკე ამბავი, ზვიად ხანჯალიაშვილმა რომ გვითხრა და დასაკარგად დაგვენანა...**

...დღესდღეობით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ძიუდოისტი ვარ. სიმძიმეში კი რამდენიმე მჯობნის. სიმართლე გითხრათ, დაახლოებით ჩემი ტანის მეტოქეებთან მირჩევნია ჭიდაობა. მომკალით და, პატარებთან საბრძოლოდ განწყობა მიჭირს, ვფიქრობ, ამას როგორ მოვკიდო ხელი-მეთქი. არადა, დაიწყება შეხვედრა, დაგიწყებენ გარშემო სირბილს და გამოგკრავენ ფეხს! შარშანდელ პარიზულ ფინალში სწორედ ასეთმა მოუხელთებელმა იაპონელმა იოჰეი ტაკაიმ მომიგო ისე, რომ გაბრაზებაც ვერ მოვასწარი.

...ჩემი სარგო კიმონოს შოვნა ცალკე პრობლემაა. ყველაზე დიდ ზომას ვყიდულობ ხოლმე და ისიც ცოტა ხანს მყოფნის, პირველ გარეცხვამდე. მერე პატარავდება და აღარ მერგება. ბევრი ძიუდოისტისგან მსმენია, კარგია, ფორმას რომ მოირგებ და კარგად შეეგუებიო. ჩემთვის ეს გამორიცხულია. სულ ახალ-ახალი მჭირდება. ჩემი კიმონოები კი საქართველოს ლამის ყველა მძიმეწონოსანს აცვია, უმეტესობას დიდი აქვს.



# რეგულარული ჩემპიონატი

26 თებერვალი

**ბოსტონი 2:3 ატლანტა**

*2:1 0:1 0:1*

1:0 დონოვანი (2), 1:1 მელანბი (15), 2:1 ბოოქსი (19), 2:2 ბელანჟე (23), 2:3 ჰოსა (48)

**მონრეალი 5:4 ტორონტო**

*3:1 2:1 0:2*

0:1 ბატალია (5), 1:1 პლეკანეცი (6), 2:1 რაიდერი (15), 3:1 ჯონსონი (20), 3:2 მაკეიბი (22), 4:2 კოივუ (31), 5:2 სურეი (33), 5:3 უილიამსი (42), 5:4 სტინი (45)

**კალგარი 5:2 ფინიქსი**

*2:0 3:1 0:1*

1:0 მოსი (10), 2:0 ჰუსელიუსი (20), 3:0 პრიმო (26), 3:1 პერო (28), 4:1 ზიუზინი (33), 5:1 პრიმო (33), 5:2 რაინპრეხტი (54)

**სან ხოსე 2:3 ანაჰაიმი**

*0:2 2:0 0:1*

0:1 პენერი (11), 0:2 პენერი (17), 1:2 მიხალეკი (27), 2:2 მიხალეკი (38), 2:3 სელიანე (49)



ტეემუ სელიანემ „ანაჰაიმს“ სან ხოსეში მოაგებინა

# ატლანტა მწვერვალის მოიერიშეებს აგროვებს



კეიტ ტკაჩუკი გოლებს დღეიდან „ატლანტისთვის“ გაიტანს

**ნჰლ-ში** გუშინ და დღეს დიდი გაწამაწია და ჰოკეისტთა გაცვლა-გამოცვლაა გაჩაღებული. გამთენიისას ხომ დედლაინია — აქედან სეზონის ბოლომდე მოთამაშეთა გაცვლა ან მათთან საკონტრაქტო მოლაპარაკებების წარმოება იკრძალება და ლიგის 30-ვე გუნდის გენერალური მენეჯერი ფრიად დაკავებულია — ზოგი კარს მომდგარი პლეი ოფისთვის გუნდის გაძლიერებას ესწრაფვის, ხოლო ვისაც უკვე დაკარგული აქვს სტენლის თასისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი, ვეტერანების მოშორებას ცდილობს.

ორი დღის წინ მომხდარი ტრეიდებით დავიწყოთ, როცა განსაკუთრებით „ატლანტა“ გააქტიურდა. „ტრეშერზი“ თავის ხანმოკლე ისტორიაში პირველად შეუდგება სტენლის თასისკენ მიმავალ ეკლიან გზას და გუნდის მენეჯმენტმა გასაძლიერებლად ყველაფერი იღონა. ჯორჯიელებმა აქცენტი გამოცდილ ჰოკეისტებზე გააკეთეს. ჯერ „ფილადელფიიდან“ ვეტერანი მცველი ალექსეი ჟიტნიკი აიყვანეს, საპირისპირო მიმართულებით კი ბრენდან კობურნი გაუშვეს. ამას „ატლანტამ“ კიდევ უფრო სერიოზული გაცვლა მოაყოლა — „სენტ ლუისიდან“ ცენტრი კეიტ ტკაჩუკი წამოიყვანა, მაგრამ სამაგიეროდ, უმრავლესობის აზრით, ძალიან ბევრი დათმო, რადგან „ბლუზმენებს“ მომავალ დრაფტზე პირველი, მეორე და მეოთხე წრის არჩევანი და თავდასხმელი გლენ მიტროპოლიტი გადაულოცა.

უკანა ხაზი გააძლიერა „სან ხოსემ“, რომელმაც „მონრეალისგან“ კრეიგ რივე წამოიყვანა, „კანადელებს“ კი ასევე მცველი ჯოშ გორჯესი და დრაფტზე პირველი არჩევანი დაუთმო.

კიდევ ერთი ვეტერანი სნაიპერი დაეხმარება სიდნი კროსბისა და ევგენი მალკინს. მარკ რეკის გარდა ახალგაზრდა გამთამაშებლებს ძალიან გამოცდილი, 40 წლის გერი რობერტსიც ამოუდგება მხარში, რომელიც „პინგვინებმა“ „ფლორიდიდან“ „მოიტაცეს“.

კარგი შევსება მიიღო „ვანკუვერმაც“, რომელმაც ჯერ „ჩიკაგოდან“ ცენტრი ბრაიან სმოლინსკი დაიმატა (მხოლოდ დრაფტზე მეორე წრის არჩევანის სანაცვლოდ) და დაცვაც ბრენტ სოპელით გააძლიერა. ეს უკანასკნელი კი ფაქტობრივად სახლში დაბრუნდა, რადგან კარიერის დიდი ნაწილი სწორედ რომ „კენექსის“ მაისურით აქვს გატარებული.

სამმაგი გაცვლა მოხდა „დეტროიტს“, „ფილადელფიასა“ და „ჩიკაგოს“ შორის. ჯერ „ფილადელფიამ“ კაილ კალდერი გაუყენა „ჩიკაგოს“ გზას, რომლის საფასურადაც ახალგაზრდა მცველი ლასე კუკონენი მიიღო, შემდეგ კი „ჩიკაგომ“ კალდერი „დეტროიტს“ ჯეისონ უილიამსში გადაუცვალა. ძნელი სათქმელია, ვის წაადგება ეს გაცვლა, რადგან წლეულს კალდერიც და უილიამსიც საზიზღრად თამაშობენ.

„ვაშინგტონმა“ ვერ მოახერხა სლოვაკ ფრთასთან რიხარდ ზედნიკთან ახალი კონტრაქტის გაფორმება, რის გამოც ის „აილენდერსში“ გაუშვა, საპასუხოდ კი მომავალ დრაფტზე მეორე წრის არჩევანი მიიღო.

დაბოლოს, იმათზეც ვთქვათ, ვინც თავიათ გუნდებში დარჩებიან. დიდხანს კი ლაპარაკობდნენ ჩხუბისთავი, მაგრამ წლეულს მშვენივრად მოთამაშე დარსი ტაკერის დღეები „ტორონტოში“ დათვლილიაო, მაგრამ კანადური გუნდის ხელმძღვანელობამ მაინც ისურვა ამ თავნება ჰოკეისტის დატოვება. ტაკერი ტორონტოში კიდევ ოთხი წელი დარჩება და ამ პერიოდში 12 მილიონით გამდიდრდება.

კიდევ ერთი მოულოდნელობა იყო „კოლუმბუსის“ მიერ შვედი ფრედრიკ მოდინის დატოვება — სკანდინავი ოჰაიოში სამ წელიწადში 10 მილიონს მიიღებს.

**ბაჩა ლომაშვილი**

# ფინელი ველურებს მიაქანებს

**გასული კვირის** პირველ ვარსკვლავად „მინესოტას“ ფინელი მეკარე ნიკლას ბექსტრიომი დაასახელეს. ძირითად გოლკიპერ მენი ფერნანდესის არყოფნაში 29 წლის სუომელი „ველურებს“ პლეი ოფისკენ მიაქანებს. გასულ შვიდდღეულშიც „მინესოტამ“ ბექსტრიომის დამსახურებით სამიდან სამ შეხვედრაში იმარჯვა და დივიზიონის ლიდერ „ვანკუვერთან“ ჩამორჩენა ორ ქულამდე რეამცირა. შთამბეჭდავია ფინელის პირადი სტატისტიკაც — საშუალოდ მხოლოდ 1,62 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 93,3 პროცენტს იგერიებდა.

ნიკლას ბექსტრიომი



მეორე ვარსკვლავობა „ბოსტონის“ მთავარ მექულე მარკ სავარს ერგო, რომელმაც გასულ კვირაში 9 ქულა მოიხვეჭა (2+7). კანადელი ცენტრი მორიგ მშვენიერ სეზონს ატარებს — 61 შეხვედრაში უკვე 82 (21+61) ქულა დაუგროვდა, რითაც ბომბარდირთა დავაში მეოთხე ადგილზეა.

მესამე ვარსკვლავად კი „ტამპელი“ ბრედ რიჩარდსი დასახელდა. „ელვების“ ყველაზე ძვირადღირებულმა ჰოკეისტმა გადაწყვიტა, — გუნდის სხვა ორი ლიდერისთვის — ვენსან ლეკავალიესა და მარტინ სენ ლუისთვის მხარი აება და გასულ კვირას თავი 9 ქულით (2+7) გამოიჩინა. მთლიანად სეზონში კი რიჩარდსს უკვე 61 ქულა დაუგროვდა.

## მსოფლიოს ჩემპიონატი
საპორო. იაპონია. 22 თებერვალი – 4 მარტი

# არყოფნაში ვირპის კატიაა ვიპი

**მსოფლიოს** ჩემპიონატის დაწყების წინ სპეციალიტები ვარაუდობდნენ, რომ სეზონის უპირობო ლიდერი, ფინელი ვირპი კუიტუნენი საპოროში მინიმუმ სამ ოქროს მედალს მოიპოვებდა. ვირპი ეგრევე შეუდგა ამ მინიმუმის განხორციელებას, სპრინტერულ სახეობებში ოქრო და ბრინჯაო მოიპოვა და ვინ იცის, სამი კი არა, მეტი სახეობაც მოეგო, მაგრამ 15 კილომეტრზე დუატლონის დროს, ფინიშამდე ორიოდე კილომეტრით ადრე ტრავმა მიიღო და რბოლა შეწყვიტა.

დუატლონს ალარავინ ჩივის და კუიტუნენმა ზურგის ტრავმის გამო 10 კილომტერზე ინდივიდუალური რბოლაც გამოტოვა. ფინელთა დანაკლისი ამით არ ამოიწურა და გუშინ სტარტზე მათი მეორე ნომერი ანია კაისა საარინენიც ვერ გავიდა. ბობოლა ფინელების არყოფნაში სლავებმა გაილაღეს — დუატლონი რუსმა ოლგა ზავიალოვამ მოიგო, ხოლო 10 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში ჩეხი კატერინა ნოიანოვა იყო საუკეთესო.

ამათგან მაინც ნოიმანოვაა გამოსაყოფი. 34 წლის ჩეხმა, ვისაც ზედიზედ ხუთ ოლიმპიადაზე აქვს მედალი მოპოვებული, დუატლონშიც ირგუნა კიდევ ერთი მედალი და გუშინ მეტოქეებს შანსი არ დაუტოვა.

ნოიმანოვა ბოლო გავიდა დისტანციაზე და თავიდანვე ყველაზე მაღალი სიჩქარე აკრიფა. პირველ ხუთ კილომეტრზე მისი უპირატესობა რამდენიმე წამით გამოიხატებოდა, მაგრამ მეორე ნახევარში ჩეხმა ისეთი ტემპით გაუტია, რომ ფინიშამდე კარგა ხნით ადრე ნათელი გახდა — ნოიმანოვას ოქროს ვერავინ შეეცილებოდა და დანარჩენებს ვერცხლსა და ბრინჯაოზე უნდა ეფიქრათ.

ასეც მოხდა — კატიამ მეორე ადგილზე გასულ ზავიალოვას 26,5 წამით აჯობა, ხოლო ბრინჯაო 29 წლის იტალიელმა, ადრიანა ფოლისმა, ირგუნა, რომელმაც, თავის მხრივ, ხუთი წამით აჯობა ნორვეგიელ კრისტიან სტორმერ სტეირას.



AFP საარქივოდან

კატერინა ნოიმანოვა

## თხილამურობა

**ქალები. 10 კმ ინდივიდუალური. თავისუფალი**

| | |
|---|---|
| 1. კატერინა ნოიმანოვა (ჩეხეთი) | 23 წთ 58,4 წმ |
| 2. ოლგა ზავიალოვა (რუსეთი) | 24.24,9 |
| 3. ადრიანა ფოლისი (იტალია) | 24.28,6 |
| 4. კრისტინ სტორმერ სტეირა (ნორვეგია) | 24.33,9 |
| 5. შარლოტე კალა (შვედეთი) | 24.41,9 |





# ჰონდამ დედამიწა კოსმოსიდან დაინახა

**ახალი სეზონის** დაწყებამდე თითებზე ჩამოსათვლელი დღეებილა დარჩა და გუნდებმაც დაასრულეს საამჩემპიონატო მანქანების წარმოდგენა.

სულ ბოლოს პრეზენტაცია „ჰონდას" ჰქონდა და იაპონელებმა საზოგადოება ნამდვილად გააოცეს თავიანთი ახალი ბოლიდით. ლაპარაკია ბოლიდის შეფერილობაზე — ახალ „ჰონდას" არ ექნება არავითარი სარეკლამო წარწერა და შეღებილი იქნება კოსმოსიდან გადაღებული დედამიწის სურათის ფერებით. ამით იაპონური სუპერკონცერნი გამოდის ბუნების გადარჩენის მოთხოვნით და ყველას მიანიშნებს გლობალურ დათბობაზე, რომელმაც ბოლო წლებში არნახული მასშტაბები მიიღო.

გუნდის სპონსორები, რაღა თქმა უნდა, არ დარჩებიან რეკლამის გარეშე. მათი ლოგოტიპები პილოტების კომბინიზონებსა და ჩაფხუტებზე იქნება განთავსებული.

ეს პილოტები კი ინგლისელი ჯენსონ ბატონი და ბრაზილიელი რუბენს ბარიკელო არიან. ბატონმა შარშან „უნგრეთის დიდ პრიზზე" კარიერაში პირველი გამარჯვება მოიპოვა და წელს უფრო მეტს გეგმავს და ვინ იცის, იქნებ საჩემპიონო ბრძოლაში ჩართვასაც ფიქრობს. არანაკლებ ამბიციურია მრავალნაცადი ბარიკელოც და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ „ჰონდა" წელს ტოპ-გუნდებს შორის უნდა იყოს.



# კაცია კრისტიანი

**ბოსტონში** ამერიკის შეერთებული შტატების ჭერქვეშა ჩემპიონატი ჩატარდა და ისე როგორ იქნებოდა, მძლეოსნობის ფლაგმანი ქვეყნის შვილებს თავიანთ უმთავრეს ტურნირზე მაღალი შედეგები არ ეჩვენებინათ.

განსაკუთრებით ბირთვის მკვრელი კრისტიან კენტველი გამოირჩა. ამ ზორბა ჯეელმა, ვინც ბოლო წლებში მთელ დედამიწაზე საუკეთესო ბირთვის მსროლელად ითვლება, ექვსი ცდიდან ხუთჯერ 21 მეტრიან მიჯნას გადააცილა შვიდკილოგრამიანი სფერო და საუკეთესო ცდაზე კი მართლაც დიდოსტატური შედეგი — 21,72 მეტრი აჩვენა.



კრისტიან კენტველი

გვარიანი შედეგები აჩვენეს 60 მეტრზე თარჯრბენში გამარჯვებულებმა. კაცებში რონ ბრამლეტმა სამოცმეტრიანი რბენა-ხტომა 7,47 წამში დაასრულა და პირადი რეკორდი დაამყარა, ხოლო ქალებში 7,88 წამით ლოლო ჯონსი იყო საუკეთესო.

3 000 მეტრზე ქალთა სირბილში სრულიად ამერიკის ჭერქვეშა რეკორდი დაამყარა შეილან ფლენაგენმა, რომელმაც სამი კილომეტრი 8 წუთსა და 33,25 წამში გაირბინა. სწორედ ეს ფლენაგენი და კენტველი აღიარეს ამერიკული მძლეოსნობის ჭერქვეშა სეზონის საუკეთესოებად და ამ აღიარების საფასურად 25-25 ათასი დოლარი გადასცეს.

**გია მუჯირი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიბრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კვილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარივა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge